# საქართველოს ქალი

9
ISSN 0821-1508
1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

645
1988 /2



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურბენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ზინაიდა კვაჭაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ქვანია, პეტრე ქლენტი, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ნინო ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშენის საშუალო სკოლის მასწავლებლები თინა ხუციშვილი და მალხაზ ბარაბაძე; მეოთხეზე — რ. ბუხრაშვილის ფოტოეტიუდი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

# სულ სიკეთით გევლოთ!

ივნისის შუა რიცხვები იყო. წვიმდა და წვიმდა. გამოდარებას აღარ დავუცადეთ და ახალქალაქიდან გოგაშენისკენ მიმავალ გზას დავადექით. ვაჩიანამდე კიდევ არა უშავდა, გზა მაინც იყო მოასფალტებული (თუმცა საკმაოდ შელახული), მერე ისე გაუჭირდა მანქანას, რომ კი არ ავედით, ძლივს ავბობღდით გოგაშენამდე.

სოფლის სკოლაში დირექტორის — ვალერიან ნათენაძის გარდა არავინ დაგვიხვდა, თინა და მალხაზი რომ მოვიკითხე, საერთოდ მიდიან, განცხადება უკვე დაწერესო, — გვითხრა დირექტორმა დაღონებით.

გუნება წამიხდა. სოფელს გავხედე. წვიმისაგან მთლად ჩაყამებული იყო პატარა, ისედაც მოუწყობელი გოგაშენი. აბა, თბილისელს აქ გააჩერებ? — თვითონ აქაურები გარბიან, — გავიფიქრე უნებურად.

გამახსენდა ის დღე, როცა გოგაშენში პირველად ამოვედი. სექტემბრის მზიანი დილა იდგა და აქაურობასაც სულ სხვა პეწი და ელფერი ედო. სწორედ მაშინ გავიცანი მალხაზ ბარაბაძე და თინა ხუციშვილი. მახსოვს, როგორი სიყვარულით საუბრობდნენ მასწავლებლები თავიანთ ახალგაზრდა კოლეგებზე. ახლა ბავშვებს და მათ მშობლებს არ იკითხავთ? — ალბათ მალხაზი თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. არა, თინიკოც უყვარდათ, მაგრამ მისი აქ მოსვლა არ ეოცებოდათ, ასე თუ ისე, მეზობელი სოფლიდან იყო და შეჩვეული გახლდათ აქაურ ყოფას. მალხაზი კი... მაინც რა უცბად გაუშინაურდა სოფელს, როგორ მიჰქონდა გულთან მისი ტკივილიცა და სიხარულიც, თითქოს მთელი ცხოვრება აქ გაეტარებინოს, ისე დაუახლოვდა ხალხს.

პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა მალხაზმა და საკუთარი სურვილით წამოვიდა გოგაშენის საშუალო სკოლაში მასწავლებლად.

— რამ გადაგაწყვეტინა თბილისელ კაცს აქეთ წამოსვლა, ყოფილხარ კი წინათ ჯავახეთში? — ვკითხე მალხაზს.

— არა, არ ვყოფილვარ. ის კი არა, ბორჯომს აქეთ ფეხი არ დამედგა. მინდოდა საკუთარი თავი გამომეცადა და ამ გამოცდას კვლავაც ვაბარებ, — მითხრა ძალიან სერიოზულად.

სკოლის ერთ-ერთ საკლასო ოთახში დააბინავეს მალხაზი. ალბათ ძალიან მოუხერხებელი იყო იქ ცხოვრება, მაგრამ ამაზე საყვედური არ დასცდენია. პირიქით, კარგია, გვიანობამდე ვმასწავლებლობ, აბა სკოლაში სხვანაირად როგორ ვიცხოვრებო, — მითხრა სიცილით. ეს მართლაც ასე იყო. ყოველდღე იბარებდა ბავშვებს და დამატებით ამეცადინებდა. ჯერ ეგონათ, ახალია და მალე მობეზრდებაო, მაგრამ ის „ყოველდღე" სამი წელი გაგრძელდა. ბავშვები, მხოლოდ ბავშვები და წიგნები — ასე თენდებოდა და ასე ღამდებოდა მალხაზისათვის...

როცა თინა ხუციშვილი გოგაშენში გამოგზავნეს მასწავლებლად (დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი), რა იცოდა, რომ „ბედის მწერალს" სწორედ ამ სოფელში უნდა დაეხვედრებინა მისთვის მომავალი მეუღლე.

თინიკომაც ისეთივე სიყვარულით დაიწყო ბავშვებთან ურთიერთობა, როგორც მალხაზმა. ორივემ ახალგაზრდული სიხალისე შეიტანეს სკოლის ცხოვრებაში. ვინ მოთვლის, რამდენი ღონისძიება ჩატარდა მათი ინიციატივით, ერთი სიტყვით, ბავშვებით ცხოვრობდნენ და ბავშვებით „ერთობოდნენ".

საერთო აზრები, სა[illegible]ფებები, კარგი გოგო [illegible] ჭი — მეტი რა უნდოდა სიყვარულს და მათაც შეუყვარდათ ერთმანეთი...

სექტემბრის იმ ლამაზ, მზიან დღეს, როცა გოგაშენის საშუალო სკოლის ცხოვრებას ვეცნობოდი, ისე მომეწონა ორივე, რომ გადავწყვიტე მათი ამბავი ყველასთვის მეცნო.

მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. გზაშივე შევიტყვე თინას და მალხაზის დაქორწინების ამბავი, გულით გამიხარდა... მაგრამ აი, მოვედი და მითხრეს, მიდიან სკოლიდანო.



როგორ გინდა გაიმეტო ასეთი მასწავლებლები... ამიტომაც წუხდა დირექტორი და მთელი სოფელი.

...კოთელიაში მოვნახე ჩემი გმირები, თინას მშობლებთან. ჯერ გაბედნიერება მივულოცე, მერე ვკითხე, როგორ შეელიეთ შეჩვეულ სკოლას-მეთქი.

— ჩემს ადგილზე იქაური მკვიდრი მოდის. აქ კი არც მათემატიკის მასწავლებელი ჰყავთ, არც ბიოლოგიის, ჰოდა, გადმოვსახლდით. თუმცა მალხაზს გული იქ რჩება, მაგრამ ოჯახს ხომ არ დავანგრევთ, — იცინის თინიკო.

სხვათაშორის, კოთელიელები მალხაზს „გოგაშნელს" ეძახიან, მას კი ეს გულწრფელად ახარებს.

ახლა ზაფხულის ცხელი დღეებია. როცა ეს ნარკვევი დაიბეჭდება, მალხაზი და თინა კოთელიის სკოლის ცხოვრებით იქნებიან დაკავებულნი. მჯერა, რომ აქაც ისეთივე სიყვარულს დათესენ, როგორც იქ — გოგაშენში და მათი ეს სიყვარული დიდ სიკეთედ აირეკლება ბავშვების სუფთა, ნდობით სავსე თვალებში.

სულ სიკეთით გევლოთ, მალხაზ და თინა!

რედაქციისაგან:

წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც შევიტყვეთ, რომ მალხაზ და თინა ბარაბაძეები კვლავ გოგაშენის სკოლის მასწავლებლებად დარჩნენ. ვერც სოფელი შეელია და ვერც ჩვენმა გმირებმა ტულალტეს გოგაშნელებს — დიდი ყოყმანის შემდეგ დაუბრუნდნენ მათ.

მანანა ზარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დმანისის ქართულ სკოლაში

## ახალი სასწავლო წელი დაიწყო

მრავლისმომსწრე ძველ ქართულ მიწაზე — დმანისში სვანები მომრავლდნენ. ზვავებსა და სხვა სტიქიურ უბედურებას გამოქცეულმა მთის შვილებმა საიმედო თავშესაფარი ბარად პოვეს. მაგრამ ბარი არც ეთქმის დმანისს, იგი შემოსალტულია მთებით და სვანების ძველ სამოსახლოს წააგავს. ალბათ ამიტომაც გაიხარეს აქ დასახლებით და თანმოყვანილი შვილები ქართულ საშუალო სკოლაში სიამოვნებით მიაბარეს.



სკოლა კეთილმოწყობილია. აქვს საკმაოდ კარგი კლას-კაბინეტები. ისინი უზრუნველყოფილია ტექნიკური ხელსაწყოებით, ფირსაკრავებით. სკოლას ამშვენებს სააქტო და





დავით იაკობაშვილის ფოტოები

სპორტული დარბაზები, სასადილო, კალათბურთის მოედანი, ბიბლიოთეკა, ავტოკაბინეტი. ექვსწლიანებისათვის სასწავლო ოთახის გარდა მოწყობილია სათამაშო და საძილე ოთახები. მკაცრი ზამთრის არ ეშინიათ ნორჩებს, რადგანაც სკოლას საკუთარი გათბობა აქვს.

ჩვეულებისამებრ, კვლავ დაირეკა სასექტემბრო ზარი და მოუხმო ორასამდე მოსწავლეს, მათ მიეგებნენ მომლოდინე პედაგოგები, რომელთაგან რვა დმანისელია და ოცი — სვანეთიდან, სოფელ ჭუბერიდან ჩამოსული. და ჩვენაც გვჯერა;

კიდევაც დაიზრდებიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარლო კოზერიძე

# ძველი ფუძე

რას არ მოესწრება კაცი! — ჩემს ხსოვნაში გაანადგურეს მთის სოფლები, აყარეს ხალხი და ბარში გადმოასახლეს, რაღა თქმა უნდა, ძალით. სადაც ძალადობაა, იქ არც კანონია და არც კანონიერება. მარტო გურჯაანის რაიონში სამი ისტორიული სოფელი ნაშალეს საქართველოს რუკიდან: ჭერემი, ფხოველი, ზიარი! ჯერ სახელები იკითხეთ! ჭერემელების უმეტესობა, გარდაბანში, მთლად მოშიშვლებულ ადგილას დაასახლეს — ხე არ იყო და ბუჩქი. ამ სოფელს „გამარჯვება" დაარქვეს. ცინიზმი უფრო შორს ვერ წავა! ჯერჯერობით ჭერემი აღორძინდა, უფრო სწორად, დაემსგავსა სოფელს. სადაც ადამიანი იბადება, ბავშვობას გაატარებს, მშობლიურ კუთხედ მას თვლის. ვინც ჭერემში არ დაბადებულა არც იხედება იქით, მისი მშობლები კი, ჭერემში უშვილებოდ დაბრუნებული მშობლები, ბუნებრივია, სოფელს ვერ გააღვიძებენ: სოფელი მაინც ბავშვია, აკვანი! როგორც უნდა ვეცადოთ, ყველა აღდგენილი სოფელი მხოლოდ და მხოლოდ ძველის აჩრდილი იქნება მაინც. ძველი ხმაური, ძალა რომ დაუბრუნდეს, ამას ალბათ საკმაო ხანი სჭირდება. ასეა: ამ სამი სოფლიდან, ერთადერთს დავუბრუნეთ სიცოცხლე. მოკლედ, რაც მტერმა დაგვაკლო, ჩვენ გადავუხადეთ საკუთარ თავს უსამართლობით, უვიცობით, შიშით. ამასაც მოვესწარი: მარტო ჩემს მეხსიერებაში რომ განადგურდა, ზოგიერთ სოფელს კი არა, ათასი ჯურის გადამთიელმა რომ აგვიოხრა, საუკუნეების წინ ნასოფლარებად გვიქცია, მასაც ვუბრუნებთ სიცოცხლეს. მარტო იმ ნასოფლარებს, კი არა, ჩვენც გვემატება სიხარული, ხალისი, სიცოცხლე!

როცა გავიგე, განადგურებული ქართული სოფლების, ესე იგი, ნასოფლარების რუკაზე მუშაობენ ჩვენი მეცნიერებიო, ერთბაშად ასოთხმოციდან ასათზე დამივარდა წნევა. ამით საბოლოოდ დავრწმუნდი იმ ჭეშმარიტებაში, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა მის ნერვულ სისტემაზეა დამოკიდებულიო. სხვისი არ ვიცი, ჩემი ნერვული სისტემა კი ჩემი სამშობლოს, საქართველოს სიკეთეზე, უკეთეს მერმისზეა დამოკიდებული და კიდევ ამაზე: მწერალი მქვია, ჩემგან სიმართლეს მოელის ხალხი. თქმით როგორ არ ვამბობ სიმართლეს, მაგრამ ქვეყნის გასაგონად რომ იტყვი, იმასა ჰქვია სიმართლე და ფასიც იმასა აქვს.

დავიმახსოვროთ 1988 წელი. ამ წელს სიღნაღის რაიონს ორი სოფელი შეემატა: ხორნაბუჯი და ციხიაანთ ყურე!

გვასწავლიდნენ, ხალხი ქმნის ისტორიასო. ვითომ? აბა, ტირანები რაღას ქმნიან? ხალხი მაშინ ქმნის ისტორიას, როცა სიტყვის, აზრის თავისუფლება აქვს, და (ბოდიში მომიხსენებია გაცვეთილ შედარებებზე), როცა გალაღებულია წყაროსავით. ერთს რომ ვამბობდით და სულ სხვას ვაკეთებდით, ამიტომ გაგვიხდა გარდასაქმნელი ჩვენი ცხოვრებაც და, რაც უარესია — საკუთარი თავიც, რასაც დედამიწის ზურგზე არავინ მოსწრებია. ბრძანების გაცემა ადვილია, შესრულება, გადამწყვეტიო. კაცი წინ, შვილების, შვილიშვილების საქართველოსკენ რომ იყურება, შეუძლებელს შეძლებს!

ჩემს სოფელში, შაშიანში, კულტურის სასახლე უნდა აგვეშენებინა. მართლაც მაღალ დონეზე დააპროექტეს ცნობილმა არქიტექტორებმა და საკმაო თანხაც გადავუხადეთ. ნამდვილად დიდებული სასახლე გვექნებოდა. გეგმით ათ წელიწადს მაინც უნდა გაგრძელებულიყო მშენებლობა. მაგრამ მაშინდელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩაშალა ამ პროექტის განხორციელება, მე თუ ვერ მოვესწრები, ისეთი მშენებლობა რა ოხრად მინდაო. გადააკეთებინა, გააუბრალოებინა პროექტი. მასაც კაი დიდხანს მოვუნდით. ავაშენეთ, როგორც იქნა. ის პირველი პროექტი სხვა სოფელმა უსასყიდლოდ, მუქთად წაიღო. როცა ჩვენს კლუბს შევხედავ ხოლმე, ის ცხონებული თავმჯდომარე და სათაყვანებელი პოეტი ლადო ასათიანი მახსენდება. კაცი სულს ლაფავდა და მაინც წერდა — დიდებული შემოქმედება დაუტოვა შთამომავლობას. არ მქონდა ბედნიერება და არასოდეს შევხვედრივარ პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველ მდივანს თამაზ ქევხიშვილს. კაცმა რომ თქვას, ამას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, მთავარი სხვაა. მან ისეთი საქმე გააკეთა, ისეთი ქონება შეგვძინა, საკუთარი გვარი სამუდამოდ დაამკვიდრა ჩვენს ისტორიაში. ალბათ შემედავებიან, ეს ხალხის, მერე რესპუბლიკის ხელმძღვანელების მადლიაო. მართალია, მაგრამ არც ბატონ თამაზის წვლილია ნაკლები — ინიციატივას განხორციელება უნდა. ნაკლები კი არა, როგორც იქაურებმა მითხრეს, თურმე მთელი გულისყური ამ ორი მშენებარე სოფლისკენ ჰქონია გადატანილი. აი კაცი! — სიღნაღის რაიონის ერთი წლის უმოსავლობას, გეგმის შეუსრულებლობას სოფლის მეურნეობის თუნდაც ყველა დარგში, ადვილად აიტანს ჩვენი რესპუბლიკა, ორი სოფლის მომატება კი პური ჩვენი არსობისაა. ეს ერის ისტორიაა, ეს ჩვენი ძალა და ღონეა — იმედია!

ჩემი რაიონი, გურჯაანი მთავრდება და საგარეჯო იწყება. დავინახავთ რესტავრირებულ ნიახურას ციხეს, მერე მანავის ციხეს — რესტავრაცია რომ მიმდინარეობს ახლა, დავით გარეჯიც გამობრწყინდება და ქალბატონი მედეა მეზვრიშვილიც მახსენდება თავისთავად. ვერ წარმოიდგენ, როგორ მშურს თქვენი საგარეჯოელებო, მაგრამ ეს კეთილი შურია, ნატვრა: მეათე საუკუნის ისტორიული ძეგლის, შეცდომით ვაჩნაძიანის ყოვლადწმინდად ცნობილი, კალაურის ყოვლად წმინდის რესტავრაცია დაიწყეს ამ ათიოდე წლის წინათ და იმდენი „მოახერხეს", დანგრევის პირას მიიყვანეს. ასევეა ახლახან ჩემი სოფლის ტყეში აღმოჩენილი მეხუთე-მეექვსე საუკუნის ისტორიული ძეგლი — სამება. ვინ არის პატრონი! ისტორიის ცოდნა არავის აწყენს, მაგრამ დღევანდელ პირობებში, საქართველოში, განსაკუთრებით რაიონის ხელმძღვანელებისათვის სავალდებულო უნდა იყოს. ამ მხრივ აუცილებელი მგონია ატესტაცია...

ტყიანი გორების ძირში თეთრად მოჩანს ხორნაბუჯი. შორიდან რომ გახედავ, შენობების რაღაც უსახური გროვა გეგონება, ანდა ძველებური თავდაცვითი ნაგებობა. არქიტექტურაში ვერ ვერკვევი, მაგრამ იმდენი კი მესმის, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული შენობა-ნაგებობების ანარეკლი, სტილი დავინახო. შორიდან ჩანს ასე, მაგრამ სოფელში რომ შეხვალ, ეს შეჯგუფებული შენობები თითქოს ერთბაშად იშლება-ნაწევრდება. ჯერჯერობით მოუწყობელია სოფელი, მაგრამ ეზოების მოხაზულობასაც ამჩნევ და მომავალ სილამაზესაც. ახლა კი ერთი ნერგიც, ერთი ბუჩქიც არა ჩანს: სოფელი სამშენებლო მოედნად ქცეულა, ზოგი სახლი დამთავრებულია — ფანჯრებზე ფარდებია ჩამოშვებული, ეს იმას ნიშნავს, პატრონი ჰყავს; ზოგი შენობა მთავრდება უკვე, ზოგისა კიდევ მარტო საძირკველია ამოწეული.

შაბათი დღე იყო, ცხელოდა. რომ შევედი, გული დამიმძიმდა: არც ადამიანის ხმა ისმოდა, არც სოფლის დამახასიათებელი ნიშანი — ძაღლის ღავლავი. ვიფიქრე, სხვაგან ხომ არ მოვხვდი-მეთქი. აქ, ამ

მიდამოში წინათაც ვყოფილვარ — ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინ ხორნაბუჯის ციხის სანახავად წამომიყვანა მეგობარმა, პოეტმა ანზორ აბულაშვილმა. ანზორი ჯუგაანელია, ქიზიყელი. ერთ ზაფხულს თავის სოფელში მეგულებოდა და ჩავედი, მითხრა, საოცრება უნდა გაჩვენოო: ხორნაბუჯში ჩამომიყვანა. მართლაც საოცრებაა ხორნაბუჯის ციხე. ორ გორაზეა აშენებული, თითქოს ამ გორების გაგრძელებაა. იშვიათად მინახავს ბუნებისა და ადამიანის გენიის ასეთი შერწყმა. ისტორიაში ცნობილია — მონღოლებს გაუჭირდათ ამ ციხესიმაგრის აღება, მეციხოვნეებს წყალი რომ არ შემოკლებოდათ, არ გატყდებოდნენო.

ვდგევარ ხორნაბუჯის სამშენებლო ნარჩენებით სავსე ქუჩაში და ხმაურს ვაყურადებ, იმ ხმაურს, რასაც სოფელი და სოფლური ჰქვია. ცოტა წინ წავდექი და, დაუმთავრებელი, უსახურავო სახლის ჩრდილში ძროხები რომ დავინახე, გულზე მომეშვა. იდგნენ ძროხები და ცოხნით მომჩერებოდნენ. მერე იქვე ჩაქუჩის კაკუნი და ხერხის ხრჭიალი გაისმა. ამ ხმაურს კაციც გამოჰყვა — აივანზე გამოვიდა — და ისე შემომღიმა, ვიფიქრე, ნაცნობი ხომ არ არის-მეთქი. მითხრა, ბევრი მნახველი ჰყავს ხორნაბუჯს და არც თქვენი სტუმრობა გამკვირვებიაო. ეს კაცი ხორნაბუჯის მშენებლობის უფროსი, სამუშაოთა მწარმოებელი დავით ალადაშვილი აღმოჩნდა. დავითი, რა თქმა უნდა, არ მცნობდა, მე კი მაშინვე შევიცან — ხორნაბუჯობა რომ იყო, სიტყვით გამოვიდა ზეიმზე. ზეიმი ტელევიზიამ გადმოსცა და იქიდან მახსოვდა. ისეთი დახვეწილი ქართულით ლაპარაკობდა, სიტყვა რომ დაამთავრა, ტაში დავცხე. საერთოდ ქიზიყელები წმინდა ქართულით ლაპარაკობენ, ამ მხრივ ნამდვილად ამოუწურავი მადანი აქვთ. სოფელ ხორნაბუჯს სოფლმშენის № 4 ტრესტი (მმართველი ვასილ კუპრაძე), აშენებს, ხელმძღვანელია საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარე ქიჩირი ბასილაშვილი, მთავარი არქიტექტორი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ვახტანგ დავითაია. დავითმა მითხრა, ხშირად ჩამოდის ხოლმე ბატონი ვახტანგი, გუშინაც აქ იყოო. სულ იმას ჩაგვჩიჩინებს, ხარისხი, ხარისხი და ხარისხიო.

— მერე, არ უსრულებთ თხოვნას?

— ყველაფერი ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რა გვიჭირდა!

— მაინც რა გიშლით ხელს?

— მასალის ნაკლებობა, კერძოდ — ხემასალისა.

ამჟამად ხორნაბუჯში 19 კომლი ცხოვრობს. იანვრამდე კიდევ 26 ოჯახი დასახლდება. მართლაც კურიოზია — კიდევ 26 ბინა უნდა დამთავრდეს იანვრამდე, გეგმაა ასეთი, საამშენებლო მასალა კი აკლიათ! რა გამოდის ამით? გეგმა და გეგმა, საამშენებლო მასალა კი ჭირს.

როცა ბატონმა დავითმა გაიგო, საიდან ვიყავი და რატომ ჩამოვედი ხორნაბუჯში, მაშინვე გამომყვა.

სოფლის ცენტრში, მშვენიერ, ხუთოთახიან სახლში ცხოვრობს მრავალშვილიანი ოჯახი: დედა — მედეა ძამიაშვილი; მამა — ავთანდილ ბალიაშვილი. მარტო მე არ შემიმჩნევია: მრავალშვილიანი ოჯახი კეთილია ყოველთვის, თუნდაც ამიტომ ღირს გამრავლება! როგორც ნამდვილ ქიზიყელს სჩვევია, ასე გულღიად, შინაურულად მიმიღო ქალბატონმა მედეამ. რომ გაიგო ჩემი სტუმრობის მიზეზი, გაიკვირვა:

— ვაიმე, ეს რაღა დასაწერია ვითომ?

გამეღიმა და ოჯახის უფროსი ვიკითხე.

— საქმეზე წავიდა ქარხანაში, მალე დაბრუნდება.

ავთანდილი წნორის მექანიკურ ქარხანაში მუშაობს შემკეთებელ ზეინკლად.

ათი შვილი ჰყავს ამ დიდებულ ოჯახს. ექვსი გოგონა და ოთხი ბიჭი.

ლამაზი, ჯანმრთელი ბავშვები არიან, მოვლილები.

ნათელ, მზის შუქით სავსე ოთახში ვარ, მაგიდას მივუჯექი და ჩანაწერს ვაკეთებ. ბავშვის ტირილმა ამაწევინა თავი, საწოლს გადავხედე — ბავშვი იწვა. უფროსმა შვილმა, ვანიკომ აიყვანა შილიფად ჩაცმული ჩვილი და ანანავა.

— ასეა, — ამბობს მედეა, — ერთმანეთს ზრდიან.

ზოგჯერ ისეთ სახელებს არქმევენ შვილებს, ლამის იყვირო. ამ სანაქებო ოჯახს კი ათივე ბავშვისათვის მშვენიერი სახელი დაურქმევია. მოდი, უფროსიდან მოვყვები და ჩავიწერ, თორემ ძნელია მათი სახელების თანმიმდევრობით დამახსოვრება: ივანე (ვანიკო) VIII კლასელია, ირმა — VI, ბესიკი — V, ქეთინო — II, თამარი — I, ზვიადი, მაია, მარინე, ამირანი. ნათია კი ჯერ ხუთი თვისაა, აღარ ტირის. ჩაწერილი დავთვალე — ათია, ოთახში კი მარტო შვიდნი არიან.

— სამი სადღაა?

— ჩვენებთან, ბოდბისხევში. სკოლაშიც იქ დადიან.

სკოლაც მალე აშენდება ხორნაბუჯში და ეს პრობლემაც გადაწყდება, თორემ რა გამოდის — ოჯახი ხორნაბუჯშია, სკოლა — ბოდბისხევში!

ცხელა და წყურვილი მკლავს, მაგრამ მერიდება, დამალევინეთ-მეთქი, იქნებ მიმიხვდეს, ამიტომ ვეკითხები:

— წყლის საქმე როგორ გაქვთ სოფელში?

— ძალიან ცუდად. ახლა ქმარს ველოდები, მანქანით არის წასული, დროით უნდა დაბრუნდეს და მოიტანოს წყალი, თორემ წვეთი არ გვიდგას. ბევრი წყალი მჭირდება, ყოველდღიურად მოტანას ვერ ავუდივართ.

ესეც ახალი ამბავი! ქართველი კაცი, ვიდრე ახალ ადგილზე დასახლდებოდა, ჯერ წყლის საქმეს მოაგვარებდა ხოლმე: ან წყალთან დასახლდებოდა, ანდა, ჯერ გამოიყვანდა და მერე იწყებდა სახლის მშენებლობას. უცნაურია, ღმერთმანი: სოფელი ჰქვია და არც წყალი აქვს და არც სასურსათო მაღაზია, არც რადიო. ვიცი, მეტყვიან, ერთბაშად ვერ მოგვარდება ყველაფერიო. მესმის, მაგრამ წყალს ფუფუნების საგანი არ ჰქვია! ვითომ რა მოხდებოდა, ჯერ წყალი რომ გამოეყვანათ? ეს უბრალო რამ არავის უნდა ესწავლებოდეს!

ჩვენთან დიდ ყურადღებას რომ აქცევენ მრავალშვილიან ოჯახებს, ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს. აკი ამ კუთხით არც ვეკითხები რასმე ქალბატონ მედეას. თვითონ ამბობს:

— ჯერჯერობით გვყოფნის ეს ბინა, მაგრამ სულ მალე დავიწროვდება.

— ვიცი, აქვე უნდა მოგცენ კიდევ ერთი ასეთი ბინა — ტელევიზიით გავიგონე.

— მართალია. არც ბოდბისხევის ხელმძღვანელობა მაკლებს ყურადღებას. მეწველი ფური გვაჩუქეს, დღეს უნდა მოეყვანათ, დაწყდნენ ბავშვები ლოდინით. მაგრამ ის კი არ ვიცი, ვინ მაჩუქა — ბოდბისხევში ორი კოლმეურნეობაა. ერთის ხელმძღვანელია გაიოზ გელაშვილი, მეორესი — თენგიზ ცაბუტაშვილი თუმცა სულ ერთია.

ცნობისმოყვარეობით მიყურებდნენ ბავშვები და წუხილიც ერთბაშად მიპყრობს: ხელცარიელი არ უნდა მოვსულიყავი. მაგრამ თავს იმითღა ვინუგეშებ, რომ სხვა დროსაც მომიწევს ხორნაბუჯში ჩამოსვლა და ქალბატონ მედეასაც მაშინ მოვუხდი ბოდიშს.

ხორნაბუჯში პირველი იანვრიდან ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა და ილია ჭავჭავაძის სახელი დაარქვეს. ესეც ნიშანდობლივია! კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯემალ ხატიაშვილი ვიკითხე. მივლინებაშიაო. ამაზეც დამწყდა გული.

— ალბათ ძალიან ძნელია ათი შვილის მოვლა.

— ერთისაც ძნელია. არც ჩვენს მშობლებს ულხინდათ ჩვენი გაზრდა. ვიცი, ძნელია და მაინც არ დამიხევია უკან — უნდა გავმრავლდეთ. არ ვიცი, რა გვეშველება ამდენი გაუთხოვარისა და დასაქორწინებელის შემხედვარეებს. უმეტესობა იმას მისტირის, გაძნელდა ცხოვრებაო. ჩვენს წინაპრებს, ერთი ხელი საგარეო ტანსაცმელი თუ ჰქონდათ და არც პური აკლდათ წლიდან წლამდე, კარგ ცხოვრებას ეძახდნენ ამას. ახლა არც ტანსაცმლის ნაკლებობას ვუჩივით, არც გშია და საოცრად ღარიბები კი ვართ — ერთი შვილიო, ორიო, სამიო, — მორჩა! ჩემზე მდიდარი არავინ მგონია! — უფროს შვილს, ვანიკოს ნათიას ართმევს და ანანავებს. ბავშვი ეღუღუნება.

— როგორ მინდოდა თქვენი მეუღლის გაცნობა.

— რაღა ახლა დაიგვიანა! — წუხს.

— რაღა თქმა უნდა, ჯერჯერობით ვერ იმუშავებთ.

— უფრო უკეთესი სამსახური კიდევ იქნება ვითომ?

მართალია, უკეთესი სამსახური არ არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფელი ხორნაბუჯში



სოფლის ზეიმი

სპარტაკ ჯანიაშვილის ფოტოები

სებობს, რასაც მრავალშვილიანი დედა ჰქვია, ეს ერის სამსახურია და თანაც როგორი!

ქალბატონმა მედეამ რომ შემატყო, წასასვლელად წამოვდექი, ერთხელ კიდევ მთხოვა:

— ცოტაც მოგეცადათ, სადაც არის გამოჩნდება ავთანდილი.

— სხვა დროს გავიცნობ. ახლა ნამდვილად მეჩქარება. ეზოში გამოვედით. დავითი და ჩემი მეზობელი, ფიზიკოსი რევაზ კანდელაკი შენობის ჩრდილში იდგნენ და ხორნაბუჯის ციხეს გასცქეროდნენ — ალბათ ამ ციხეზე ლაპარაკობდნენ.

დავემშვიდობე მასპინძელს, ბავშვებსაც და ქვევით დავუყევით. ისევ ხორნაბუჯის მშენებლობაზე დავიწყეთ საუბარი. დიდებული სოფელი იქნება, სწორედ ისეთი, მეოცე საუკუნის მიწურულის კომფორტს რომ ითვალისწინებს. მშენებარე სახლთან შევჩერდით და „მოსკვიჩითაც" მოვიდა ვიღაც. დავითმა გამაცნო:

— მედეას მეუღლეა, ავთანდილ ბალიაშვილი.

გამიხარდა. ჩადგმული კაცია ავთანდილი, ჯან-ღონით სავსე. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენანებოდა, ასე მალე რომ ვბრუნდებოდი უკან. მამა-პაპურად ვერ ვისაუბრეთ, მაგრამ ესეც არაფერი — კიდევ შევხვდებით. ალბათ კიდევ ეყოლებათ შვილი, ჯერ ხომ ორმოცი წლისანიც არ არიან!

დიდ საქმეს აკეთებს საქართველოს კულტურის ფონდი. სოფლებისა და ქალაქების სახელების შერქმევა თუ გადარქმევა მის კომპეტენციაში შედის. ე. ი. სახელმწიფოებრივი საკითხია. გადაწყდა — ძნელბედობის, უთავბოლობის დროს დარქმეული არაქართული სახელები უნდა შეეცვალოს სოფლებსა და ქალაქებს. ძველი სახელები უნდა დაუბრუნდეს. დაუფიქრებლობაა, როცა ალორძინებულ სოფელს უცხოურ სახელს ვარქმევთ! გამოდის, რომ რასაც ვამბობთ, იმას არ ვაკეთებთ.

ხორნაბუჯი რომ დავარქვით, შეცდომაა. ხორნაბუჯი სპარსული სიტყვაა, მზის კერპს ნიშნავსო. ამ ახლომახლო სოფლებში მცხოვრებლებმა რადიო-ტელევიზიითა და პრესით გაიგეს ამ ციხის ხორნაბუჯობა, ხალხი თამარის ციხეს, ზოგიც თამარის გოხებს ეძახის. ციხის გვერდით, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს სასმელი წყალი გამოდის, რომელსაც ჭოეთის წყალი ჰქვია. XVII-XVIII საუკუნეებში აქ სოფელი ყოფილა, ჭოეთი რქმევია. ეს სახელწოდება სოფელთა სიაში შეტანილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილს (იხ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", თბ. 1941). სოფელთა სიაში ათავსებს იოანე ბატონიშვილიც თავის ნაშრომში — „ქართლ-კახეთის აღწერა" (თბ. 1985 წელი). ჭოეთიდან მომდინარეობს გვარი ჭოველიძე. ამ ცნობებზე მიმითითა უშანგ სახლთხუციშვილმა, თსუ ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრის ტოპონიმიკის ლაბორატორიის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, რომელსაც მთელი კახეთის ტოპონიმიკა დეტალურად აქვს აღწერილი და სულ მალე გამოსცემს ამ რეგიონის ტოპონიმთა ლექსიკონს. სიღნაღელებს რომ ველაპარაკე ამის თაობაზე, ერთადერთი გამამართლებელი მიზეზი დაასახელეს — კარგად ჟღერსო! კარგად ბევრი უცხოური სიტყვა ჟღერს და, როგორ მოვიქცეთ, ჩვენს სოფლებს ჩამოვუქროთ? ვერაფერი გამამართლებელი მიზეზია, მით უმეტეს, გვაქვს უპრიანი სახელი — ჭოეთი!..

ხირსას რომ გამოვცდით, ვიღაც ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა იდგა ხის ჩრდილში და ჩვენს მანქანას უყურებდა. გავუჩერეთ. წნორში მიდიოდა, მოგვესალმა და ზედვე მიაყოლა:

— ხორნაბუჯში იქნებოდით.

— მართალია.

— ციხიაანთ ყურეც უნდა გენახათ.

— ახლა ამდენი დრო არ გვაქვს. ხორნაბუჯსა და ციხიაანთ ყურეში ძალით ხომ არ ჩაასახლეს ხალხი?

— რას ბრძანებთ, ისეთი კონკურსი იყო, ვერ წარმოიდგენთ, ბევრს, ძალიან ბევრს უნდოდა მაგ სოფლებში ცხოვრება, მაგრამ უფრო ახალგაზრდა ოჯახებს მისცეს უპირატესობა — გამრავლებაა მთავარი.

ხორნაბუჯს გავხედე და მამაპაპურად დავილოცე:

— აგაშენოთ!

— ამინ, გისმინოს ღმერთმა!

მინაწერი:

15 ივნისს ჩვენმა ტელევიზიამ ვრცელი ნარკვევი გადმოსცა ხორნაბუჯსა და ციხიაანთ ყურეზე. კარგი გადაცემა იყო, საამაყო და სასიხარულო. ციხიაანთ ყურის მდებარეობაც დიდებულია და პერსპექტიულიც. სწორედ ციხიაანთ ყურიდან გვესაუბრა პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი თამაზ ქევხიშვილი — ივრის პირებზე მომავალი, 1989 წლიდან დავიწყებთ ახალი სოფლის, წმინდა ილიას მშენებლობასო.

მადლობა ყველას, ყველას, ვინც ამ საისტორიო საქმეს აკეთებს და მადლობა თქვენ, თქვენს მამულიშვილობას, ბატონო თამაზ!

# ფერისცვალების ჟამი დადგა



## გარდაქმნის სამუშაოთა მწარმოებლები

„დაუმსახურებლად დავიწყებულ შეჯიბრების ფორმებს, — ითქვა სტახანოვური მოძრაობის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ამ სამი წლის წინანდელ შეხვედრაზე, — დღესაც შეუძლია, ეფექტიანად შეგვიწყოს ხელი... შეჯიბრებაში საუკეთესო ტრადიცია უნდა გაგრძელდეს“.

ამის ნათელი გამოხატულება იყო სკკპ XIX კონფერენციის . ღირსეულად შეხვედრისათვის ჩვენი ქვეყნის შრომითი კოლექტივებისა და წარმოების მოწინავეთა ინიციატივა, რომელსაც თბილისელი მშრომელებიც გამოეხმაურნენ. რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა შრომითი კოლექტივის, პარტიული კომიტეტების წევრების, დეპუტატების, არჩევითი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრებისადმი საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი მუშების მიმართვაში ვკითხულობთ: „გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ეს პატრიოტული მოძრაობა მოიცავს თბილისის მშრომელთა უფართოეს მასებს და უზრუნველყოფს მაღალ შედეგებს“. — „მოსაწონია პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრის, ორჯონიკიძის სახელობის ფაბრიკის მკერავის ვ. პისარევას ინიციატივა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბრიკის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების პირობებში არ დააქვეითოს მუშაობის მიღწეული რიტმი, XIX პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის უზრუნველყოს ხუთწლედის 3,5 წლის გეგმის შესრულება".

— დიახ, დაუმსახურებლად დავიწყებულ შეჯიბრების ფორმებს, — ამბობს ვალენტინა, — დღესაც შეუძლია ეფექტიანად შეგვიწყოს ხელი. საუკეთესო ტრადიციებს უნდა ვამრავლებდეთ!

XIX პარტიული კონფერენციისათვის სამზადისი ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად ხუთწლედის პასუხსაგები ეტაპი გახდა. მე და მიმართვის მონაწილე პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრმა მუშებმა ჩვენი ქვეყნის მოწინავე შრომითი კოლექტივების წამოწყების მხარდაჭერა გამოვხატეთ, რათა მაღალმწარმოებლური შრომის მაგალითები გვეჩვენებინა. კონფერენციისათვის მზადების დღეები ყველგან შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით იყო გამორჩეული და ამან ოცდახუთი წლის წინანდელი შრომის ცეცხლი გამახსენა, როცა ჩვენი ფაბრიკის მშრომელებმა გულმხურვალედ დავუჭირეთ მხარი მოსკოვ-რიაზანისა და მოსკოვის მახარისხებელი დეპოს მუშა-მოსამსახურეთა თაოსნობას და რესპუბლიკაში კომუნისტური შრომის მოძრაობის ინიციატორები გავხდით. ხოლო, რაც შეეხება თვით ამ მოძრაობას, იგი შემდგომში სოციალისტური შეჯიბრების ნაცად ფორმად იქცა.

— როდის მოხვედით ფაბრიკაში? —

— ოცდათოთხმეტი წლის წინათ. იქიდან მოყოლებული დღემდე საამქროს უცვლელად ხელმძღვანელობს დარგის გამოცდილი მუშაკი ალექსანდრა ზებედაშვილი.

...თბილისში მე და დედაჩემი სამხედრო ჰოსპიტლის ევაკუაციის გამო ჩამოგვიყვანეს. მამა ომის პირველსავე დღეებში გაიწვიეს ფრონტზე. ერთხელ ვინახულეთ შემკრებ პუნქტში. ის იყო და ის.

ევაკუირებულები ერთ დიდ სახლში დაგვაბინავეს. იქვე იყო სკოლა, სადაც ვსწავლობდით. რვა კლასის შემდეგ მუშაობა დავიწყე... ჯერ უსინათლოთა საზოგადოების საწარმოში, შემდეგ კი — საავიაციო ქარხანაში, სადაც დედაჩემი ირჯებოდა. სწავლა საღამოს სკოლაში გავაგრძელე.

გავთხოვდი ეროვნებით პოლონელ კრასოვსკიზე (თბილისში დაბადებულია) და ამიტომაც სახლთან ახლოს, ამ ფაბრიკას მოვაშურე.

ვენერა ჯავარშეიშვილი, რომლის ბრიგადაშიც მიმიღეს, ახლა ტექნიკური კონტროლის განყოფილებაშია წუნმდებლად. ცვლის უფროსი სოფიო თევზაძე გახლდათ. ბევრი რამ ვისწავლე მათგან. წარსულის მაგალითი გაუხუნარია და იგი მით უფრო მეტად დაგვაფიქრებს დღეს, როცა გარდაქმნის საქმეში ჩვენ, კომუნისტებს როგორც მაგალითს, ისე გვიყურებენ. უნდა შეგეძლოს იცხოვრო და იღვაწო ისე, რომ შენზე თქვან, ნამდვილი კომუნისტიაო. დიახ, რაც უფრო ნათელი და სპეტაკი, საინტერესო და მიმზიდველი იქნება ცხოვრება ჩვენს პარტიულ სახლში, მით უფრო მალე გავართმევთ თავს გარდაქმნის თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელ არცთუ ადვილ ამოცანებს.

— თანამედროვე მუშის გამოცდილებას და ცოდნას ოქროს ფასი აქვს. ამიტომაც, ასევე ფასეულია თქვენი, შრომაში ნაცადი ადამიანების შეხედულება თანამედროვე ხელმძღვანელზე. საერთოდ, რას ფიქრობთ მასზე, როგორი უნდა იყოს იგი?

— არის ისეთი ავადმყოფობაც, — როგორც მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა თქვა, — „მივა ხელმძღვანელი საწარმოში ან მშენებლობაზე, ხალხს ზედაც არ შეხედავს, მიადგება რაიმე ტურბინას, დანადგარს, ტრაქტორს, ბულდოზერს. შემდეგ ჩაჯდება მანქანაში და ჩუმად წავა. ასეთი ავადმყოფობა თავიდან უნდა მოვიშოროთ"...

თანამედროვე ხელმძღვანელს ბევრი რამ მოეთხოვება, უპირველესად: საქმის ღრმა ცოდნა, კომპეტენტურობა და ასევე მთავარი — ადამიანებთან მუშაობის უნარი, ტაქტი... ყველას ვერ ჩამოთვლი. მახსოვს გაზეთ „პრავდის" ერთ-ერთ მოწინავე წერილში ამოვიკითხე, რომ ბევრგან ახლის ყლორტები გზას ჯერ კიდევ გაჭირვებით იკაფავენო და აი რატომ: იმიტომ, რომ მრავლად არიან ისეთები, რომლებმაც ოცი წლის წინანდელი ჩვევები ვერ მოიშორეს და ეგრეთწოდებულ „ძველ ნაცნობობას" იყენებენ... დღეისათვის მიუღებელ მეთოდებს ეჭიდებიან და აფერხებენ გარდაქმნას, უფრო მეტი — ხელს უშლიან მას, შეაღწიოს შრომით კოლექტივებში, იქ, სადაც წყდება მისი ბედი, რის გამოც დემოკრატია „დოზირებული" ხდება და „შანდაკდება პარტიის მიერ აღნიშნული კუთხეები და მოსახვევები".

ახლაც სიამაყით ვიხსენებ, იგი არც თუ ისე შორეული წარსულია, 18 წლის წინათ ჩვენი ფაბრიკის დეპუტატებმა მერვე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განაღდება ვიკისრეთ და შეჯიბრება გავაჩაღეთ. უცებ გავრცელდა ეს თაოსნობა, დედაქალაქის სხვა საწარმოებმაც აიტაცეს, ამ ვალდებულებათა განსახორციელებლად ფაბრიკაში დეპუტატთა საგუშაგოები შევქმენით, ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობას ფხიზლად ვუწევდით კონტროლს. პირობა წარმატებით გავანაღდეთ. ასე იყო ახლაც, როცა მე-19 პარტიული კონფერენციის შესახვედრად შეჯიბრებაში ჩავებით.

1974 წელს ვალენტინა პისარევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ორი წლის შემდეგ კი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

— ახლა, — ამბობს ის, — თითოეულ ჩვენგანს ზღვრული მიზანსწრაფვა და გერგილიანობა, მეტი თავდადება და ორგანიზებულობა გვმართებს, რათა ყველგან, ყოველ სამუშაო უბანზე გარდაქმნა მაღალი საბოლოო შედეგებით უზრუნველვყოთ. ჩვენი კონკრეტული ამოცანაა, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, ისინი პროდუქციის მაღალი ხარისხის, ეკონომიისა და ყაირათიანობის, თითოეულ კოლექტივში დასახული მიზნების სამსახურში ჩავაყენოთ. მუშაობის ძირეული გარდაქმნა ახლა თითოეულის ღვიძლი საქმეა.

— მაგრამ რეკონსტრუქცია რომ ჯერაც არ დამთავრებულა?

— ასეთ პირობებში ჩვენ შევძელით შეგვესრულებინა მოგების გეგმა, რომლის მაჩვენებლის მიხედვით შარშან ჩამოვრჩებოდით და კიდევ უფრო მეტი, შრომითი კოლექტივის საბჭოს დახმარებით, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ამ მაჩვენებლის რეალურ დაგეგმვას მივაღწიეთ თავდაპირველად იგი არარეალურად იყო დაგეგმილი. დაგეგმვის ხარვეზებს კი, თითოეულ ჩვენგანს კარგად მოგვეხსენება, რაოდენ შეუფერხებია შრომითი შემართება. როცა გეგმავ, უთუოდ უნდა გაითვალისწინო ყველაფერი — ტექნიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფიდან დაწყებული, ნედლეული და მასალები, ყველაფერი, რაც ასე აუცილებელია წარმოების რიტმისათვის, მათი ხარჯვაც, აღრიცხვა, რომელიც გადამწყვეტია დღეს, სამეურნეო ანგარიშით მუშაობისას. ეს უკანასკნელი დღითიდღე თავის ნამდვილ მნიშვნელობას იძენს.

ახლა თითოეული ჩვენგანის ვალია, არ დავაქვეითოთ მუშაობის მიღწეული რიტმი.

ამას წინათ ფაბრიკაში კოლექტიური ხელშეკრულება მივიღეთ, რომელმაც საწარმოს რეალური ზრდის ტემპები განსაზღვრა. გაწერილი 24 მილიონ 23 ათასი მანეთის ნაცვლად სამინისტროდან 25 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქცია დაგვიგეგმეს. გაუშიფრავი იყო 1,5 მილიონი მანეთი. და აი ახლად ჩამოყალიბებულმა შრომითი კოლექტივის საბჭომ ამ მაჩვენებლის რეალური დაგეგმვაც მოითხოვა. საკითხი ადმინისტრაციასა და სამინისტროში დავაყენეთ. მივაღწიეთ სასურველს, რომელიც კოლექტიურ ხელშეკრულებაში აისახა.

რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ გასტანს, ფაბრიკას დიდი ფერიცვალების ჟამი უდგას. ამიტომაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თითოეულის აქტიურ პოზიციას, რომელიც გადამწყვეტია გარდაქმნის ამოცანების გადაჭრაში.

— კონფერენციისათვის აღებული ვალდებულება პირნათლად შევასრულე — 3, 5 წლის გეგმის შესრულება ვუპატაკე.

...შეჯიბრებამ კი კვლავაც უნდა ამრავლოს წარმატებები გარდაქმნას ნამდვილი მომხრეები ჭირდება, ისეთი, როგორიც ვალენტინა პისარევაა. ამიტომაც ახლა ხშირად გაიგონებთ — „გარდაქმნის სამუშაოთა მწარმოებლები"...

**დალი ხატიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ვერტინსკი

# სარასატეს კონცერტი



ცნობილმა რუსმა მომღერალმა ა. ვერტინსკიმ მღელვარე ცხოვრება განვლო. ნიჭიერმა მსახიობმა შექმნა სევდიანი სასიმღერო ნოველის ჟანრი, რომელთა ტექსტსა და მუსიკას თვითონვე თხზავდა. რევოლუციის შემდეგ მომღერალი უცხოეთში მოხვდა და სამშობლოს სიყვარულით აღსავსე ნაღვლიანი სიმღერებით მსოფლიო შემოიარა. მაგრამ მას ვაჟკაცობა ეყო და განსაცდელის ჟამს, დიდი სამამულო ომის დროს, სამშობლოს მოაშურა, გიტარითა და სიმღერით სამშობლოს მამაც დამცველთა რიგებში ჩადგა.

ა. ვერტინსკის მომაჯადოებელ სევდიან ლირიკულ სიმღერებს, მის მუსიკალურ მინიატურებს კარგად იცნობს თბილისელი მსმენელიც, მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ის საინტერესო მემუარების ავტორი და ნოველისტიც იყო.

* * *

ეს მოხდა 1930 წელს. რუმინეთის ქალაქ ჩერნოვიცში ერთ დიდ კაფეში ვიჯექით. ამ ქალაქში მთავრდებოდა ჩემი საგასტროლო მოგზაურობა ევროპაში. დილით პარიზს უნდა გავფრენილიყავი.

ჩემი ძველი ნაცნობი პეტია ბარაცი, რომელთან ერთად ბოლო საღამოს ვატარებდი, ერთი ჩანჩურა კაცი იყო. და თუმცა ჩია ტანისა გახლდათ, საკმაოდ დიდი, მელოტი თავი ჰქონდა, რაც საბავშვო წიგნებში დახატულ პურის კვერს ამგვანებდა.

— ეს თავი კი არა, ამობურცული ადგილია! — შენიშნა ერთხელ რომელიღაც ოხუნჯმა.

ამ დაუნდობელმა უხეშმა ხუმრობამ პეტიას გული სამუდამოდ დაუკოდა.

ერთხელ, ჯერ კიდევ ყრმობისას, ოდესაში, პეტია ევროპულ თეატრში მიიწვიეს. მაშინ შვიდი წლისა იყო. თავის ხუთი წლის დასთან ერთად ჰაუპტმანის ერთ-ერთ პიესაში რომელიღაც პატარა როლს ასრულებდა. ლოყები ფერუმარილით წაუთხუპნეს, გაპუდრეს, თმა დაუხუჭუჭეს. რაღაც კვართის მაგვარი ჩააცვეს და დაარიგეს, ხმამაღლა და გარკვევით ილაპარაკეო. პატარა მსახიობებს ურნა შეაჩეჩეს.

— ბავშვებო, ხელში რა გიჭირავთ? — ღიღინა დაყენებული ხმით შეეკითხა მათ ბატკანივით დახუჭუჭებული პრემიერი.

— ლარნაკი! — თამამად უპასუხა პეტიამ.

— რა არის შიგ?

— ჩვენი დედიკოს ცრემლებია! — გარკვევით და მტკიცედ უპასუხა ბიჭმა. გულჩვილი ოდესელი დედები ცრემლად იღვრებოდნენ. ქალაქში ცნობილი მეაფთიაქის ბავშვების საყურებლად თეატრს მთელი ქალაქი აწყდებოდა.

პეტიას ასაჩუქრებდნენ, ეფერებოდნენ და ჰკოცნიდნენ. სწორედ ამან დაღუპა. მსახიობი არ გამოვიდა, მაგრამ თეატრის, სცენის სიყვარული იმითლა დაიკმაყოფილა, რომ ადმინისტრატორი გახდა. რევოლუციის ტალღით გარიყული ახლა რომელიღაც კანტორაში ბუღალტრად მუშაობდა.

... კაფეში სინათლე აანთეს, მუსიკოსები ხმაურით მართავდნენ საკრავებს და დავობდნენ, რით დავიწყოთო.

— „ტრავიატა“ დავცხოთ! — თქვა ერთმა.

— უკეთესია „სილვა“ ვგლიჯოთ! — დაიყინა მეორემ.

ჩემს მახლობლად განცალკევებულ მაგიდასთან უკვე ასაკგადასული ლამაზი ქალი იჯდა. დაღლილი ხელები მუხლებზე დაეწყო. მის პოზაში რაღაც განწირულება იგრძნობოდა, დაძაბულად გაჰყურებდა შემოსასვლელ კარს და მის ჭრიალზე კრთებოდა.

— შეხედე — ვლადესკო! — უცბად დუმილი დაარღვია პეტიამ.

შევბრუნდი. კაფეში შემოვიდა ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი მომღიმარე სქელი რუმინელი. მარჯვენა ხელის ნეკზე დიდი ყვითელი მარგალიტი უელავდა, როგორიც, ჩვეულებრივ ბანქოს მოთამაშე შულერებს უკეთიათ ხოლმე.

ის ნაძალადევი ღიმილით მიესალმებოდა ხალხს, თან თვალებს ნაბავდა და ოქროს საბჟენიდან ბოშურ კბილებს აჩენდა. შესამჩნევად წამოზრდილ მუცელზე ვიოლინოს ბუდე მიეხუტებინა და ესტრადისაკენ მიდიოდა.

— ეს რომელი ვლადესკოა? — ვკითხე პეტიას. — ვენაში რომ უკრავდა, ისა?

— ჰო.

გავიხსენე ბოშური ჟანრის ცნობილი ერთი იმ ხუთ მეფეთაგანი, რომლებიც რესტორნებში უკრავდნენ. მის ვიოლინოს უჩვეულოდ მგზნებარე მსუყე ხმა ჰქონდა, — ნაზი და შესაბრალისი, თითქოს მოსთქვამსო. ეს რაღაც ცრემლნარევ ღრმა კვნესას უფრო ჰგავდა, რაღაც ისეთს, რომელიც ერთდროულად წააგავს ზურნასაც და „ბაბილონის მდინარეთა გატირილსაც“.

ორკესტრმა ჯერ მარში დაუკრა. ვლადესკო მასში არ მონაწილეობდა. როგორც სოლისტი, ის ორკესტრის წინ იდგა თავისი თავით კმაყოფილი და დამცინავი, მანჭვა-გრეხით დაუდევრად ატრიალებდა ხელში ვიოლინოს, თითქოს უნდობლად ათვალიერებდა მას.

ბოლოს ყველა ამ მანჭვა-ღრეჯის, მიდგომ-მოდგომისა და ზნექის შემდეგ მედიდურად შეახო სიმებს ქამანი.

დაირხა მგზნებარე, თითქოს ტანჯვისაგან ძალაგამოლეული „დოინის“ მელოდია. ხმები იყო ცეცხლოვანი, ალმოდებული, სევდით სავსე. გეგონებოდათ ქამანიდან სისხლივით წითელი, ძველი ბლანტე ღვინის ჭავლი იღვრებაო.

მისი ვიოლინო ხან მღეროდა, ხან მძიმედ დაკოდილი მხეცივით ყმუოდა, ხანაც გულშემზარავად და ხმამაღლა ქვითინებდა... ზოგჯერ კი გეჩვენებოდათ, რომ ჯურღმულში გამომწყვდეული რომელიღაც მონა ტანჯვით მოსთქვამს და სამშობლოს გახსენებით თავს იტანჯავსო.

— განსაცვიფრებელია! — ვერ ვუცვავე ...

— ჰ...ო! დაკვრა, რა თქმა უნდა, იცის! — ჩაფიქრებით ჩამარცვლა პეტიამ.

— ეს „დოინები“ მათ თურქეთის ბატონობის დროიდან შემორჩათ. ხალხის ნამდვილი ნაღვლიანი კვნესაა.

ვლადესკოს მხურვალედ, ერთსულოვნად ხვდებოდნენ. დარბაზის სხვადასხვა კუთხიდან ხალხი საყვარელი სიმღერების სახელებს გასძახოდა, სთხოვდნენ დაეკრა. ოფიციანტს ვერცხლის ლანგრით უკვე მიჰქონდა მუსიკოსთან ვილაცის მიერ გაგზავნილი შამპანურის ბოთლი.

— კაცად კი არ ვარგა, ნამდვილი პირუტყვია! — მოულოდნელად თქვა პეტიამ.

— რას ერჩი?

მან უხალისოდ ჩაილაპარაკა:

— ჰხედავ იმ ქალს, ესტრადასთან? — მკითხა და მეზობელ მაგიდასთან მჯდარ ლამაზ მანდილოსანზე მანიშნა. — ეს მისი ცოლია.

— მართლა?!

— ოდესღაც ცნობილი მსახიობი იყო... სილვია ტოსკა! არა გსმენია ეს სახელი? მთელი მსოფლიო იცნობდა. ეს ვარსკვლავი იყო! და მერე როგორი ვარსკვლავი! ისინი ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა.

— ახლა?

ახლა ქალმა სცენა მიატოვა! მაგის გამო, რა თქმა უნდა. ეჭვიანობდა...

— მერე რა მოხდა!

— მერე... სცემს! თანაც სხვების თანდასწრებით! სახეში არტყამს, როცა მთვრალია, ან ცუდ გუნებაზეა.

— და არავინ ექომაგება?

— არა! ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ჩარევა ვის ეპიტნავება?

— იცი, რა, როგორც გინდა მოიქეცი და, მე კი ღრანჭს მოვუნგრევ, თუ ჩემი თანდასწრებით გაბედავს. — აღვშფოთდი მე.

— ამით ვერაფერს უშველი! ქალს გაგიჟებით უყვარს, გესმის, უყვარს! მისი გულისთვის თავი დაილუპა, ცხოვრება გაიმწარა: მიატოვა სცენა, სახლი, მდიდარი ქმარი, უარი თქვა წარმატებებზე... ეს პირუტყვი დაეპატრონა მის თვალმარგალიტებს, ფულს, სახელს, სულიერ სიმშვიდეს... და ხომ ხედავ, მთელი მსოფლიოს სამიკიტნოებში დაჰყვება თან! საღამოებს მის მოლოდინში აღამებს!

ამ ამბით აღშფოთებული ვდუმდი. თანდათანობით დარბაზი მიწყნარდა.

ვლადესკო უკრავდა ერთ ჩემს საყვარელ პიესას — „სარასატეს კონცერტს“. ეს რაღაც ჯადოსნობა იყო! დროგამოშვებით მისი თითებიდან ილვრებოდა ვიოლინოსთვის უჩვეულო თითქმის ადამიანური ინტონაციები, ცოცხალი და ძუდარით აღსავსე. ისინი მსმენელთა გულში იჭრებოდა, ადამიანი მთვარის ლურჯი ბილიკით გადაჰყავდა რაღაც სხვა სამყაროში, ამაღლებული, სიზმარეული, წმინდა ცრემლებით მშვენიერი გრძნობების სამყაროში.

თვალი ვერ მომეშორებინა. ის კი უკრავდა, დაძაბული, სიმივით გაჭიმული და თითქოს მიწიდან მოწყვეტილი. შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მის სახეზე ერთმანეთს სცვლიდა რისხვის, ნაღველის, ტკივილისა და სინაზის ცეცხლოვანი გაელვება. შემოქმედებითი ცეცხლით გაფიცხებული მისი სახე შთაგონებული და მშვენიერი იყო.

მელოდია შეწყდა. საპასუხოდ ტაშის ქარიშხალი ამოვარდა. მან ვიოლინო დაუშვა, ვლადესკო ჩასისხლიანებული, ცნობაწართმეული თვალებით, ნახევრადდაბრმავებული ესტრადიდან ჩამოვიდა და მადლობის ნიშნად თავიც კი არავის დაუკრა.

მივიხედე. სილვია ფეხზე იდგა და დამფრთხალი ფრინველივით ბრიალა თვალის გუგებში მოუჩანდა მთელი ის მოჯადოებული სამყარო, რაზეც ვიოლინო მღეროდა. და ამ თვალებიდან ვერცხლისფერ ნაკადულებად მოწანწკარებდა ცრემლები.

ვლადესკო თავის მაგიდასთან მივიდა. სილვიამ მისკენ გაიშვირა ხელები, მას არ ესმოდა და ვერ ხედავდა თუ რა ხდებოდა გარშემო. მაგიდაზე ეწყო რომელიღაც მისი თაყვანისმცემლისაგან გამოგზავნილი წითელი ვარდები. ვლადესკომ თ...ული იატაკზე დაანარცხა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

სილვია აბრეშუმის დიდი ხელსახოცით უწმენდდა ოფლს ...ხიდან. თანდათანობით მას თავისი გამომეტყველება დაუბრუნდა.

— ჰო... — თქვა ფიქრებში წასულმა პეტიამ და სადღაც სივრცეს გაუღიმა.

— „მაგრამ, როდესაც ის ასრულებს სარასატეს კონცერტს...“ თავში გიჟურად მღეროდა სტრიქონები.

...ასე დაიბადა სიმღერა.

სამიოდე წელიწადი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი ქვეყანა მოვიარე. ვმღეროდი ალექსანდრიაში, ბეირუთში, პალესტინაში. ვიყავი აფრიკაში, სადაც კინოში გადამიღეს.

ამ სეზონში საკონცერტო ტურნე გერმანიიდან დავიწყე. პირველი გასტროლები ბერლინში იყო დანიშნული. პალისანდრის ფიცრით მოპირკეთებულ ჩინებულ რეზონანსიან „ბლიუტნერ-ზალეს“ დარბაზში სასიამოვნო და საინტერესო იყო სიმღერა.

პროგრამაში ბევრი ახალი სიმღერა მქონდა. მასში „სარასატეს კონცერტიც“ იყო, ჩერნოვიცში შეთხზული სიმღერა რომ ვუწოდე. მსმენელებს ეს სიმღერა მოსწონდათ. მას ყველგან მღეროდნენ.

კონცერტის დღეს სასტუმროში მეწვია პეტია ბარაცი. ის გავლით იყო ბერლინში, დრეზდენს მიემგზავრებოდა. საუბარი გავაბით.

— იცი, ვინ უკრავს აქ ელენ-ოტელში? — უცბად გაახსენდა და შემეკითხა.

— ვინა?

— ვლადესკო!.. გახსოვს, ისა? გუშინ მოვუსმინე და სხვათაშორის ვუთხარი, შენ მას სიმღერა რომ მიუძღვენი.

— არა ღირდა! ცივად შევნიშნე. — ის სიმღერად არ ღირს.

— ძალზე დაინტერესდა, — განაგრძობდა პეტია, თითქოს არც კი გაუგია ჩემი სიტყვები, — და თქვა, რომ მის კონცერტს დღეს უთუოდ დავესწრებიო.

ამაზე საუბარი შეწყდა. ერთმანეთს საღამომდე დავემშვიდობეთ.

ვეებერთელა „ბლიუტნერ-ზალე“ ხალხით იყო სავსე. ამ საღამოს საუკეთესო გუნებაზე გახლდით. კონცერტის დაწყებამდე ფარდის ჭუჭრუტანიდან გავხედე დარბაზს, ვლადესკო პირველ რიგში გაჭიმულიყო. მის გვერდით იჯდა სილვია ტოსკა, სადა კაბა ეცვა.

ვლადესკო ყველას უღიმოდა, სალამს არ იშურებდა. მისი მსუქანი, მრგვალი სახე ისე ბრწყინავდა, როგორც გაპრიალებული სპილენძის ტაშტი მზეზე. თავისი სიმღერის მოსასმენად მოსულიყო.

— დამაცადე! — ღვარძლიანად და მხიარულად გავიფიქრე, — მე შენ კარგად შეგახურებ!

მას დიდხანს მოუხდა ლოდინი. „სარასატეს კონცერტი“ პროგრამაში ბოლო ნომრად ეწერა. ვლადესკო ოდნავ გაოცებული ყურადღებით მისმენდა. როგორც მსახიობი, რომელიც სამიკიტნოებში გამოსვლების გამო, ეტყობა, სხვა მსახიობთა კონცერტებზე არ დადიოდა და, ამას გარდა, ალბათ, იშვიათად თუ ვინმესთვის მოესმინა. მთელი თავისი გამომეტყველებითა და მხურვალე ტაშით იგი ცდილობდა ეგრძნობინებინა, რომ ჩემი ხელოვნებით კმაყოფილი იყო.

მაგრამ მე გულცივად ვექცეოდი. არც თავის დაკვრით გამოვხატავდი მის მიმართ სიმპათიას ან მადლიერებას და არც ღიმილით. „დამაცადე, დამაცადე!“

მთელი კონცერტის განმავლობაში ზუსტად ესტრადის შუაგულში ვიდექი და ისე ვმღეროდი, მაგრამ როდესაც ბოლო სიმღერა გამოვაცხადე, დემონსტრაციულად მივედი ესტრადის მარჯვენა ბოლოში და პირდაპირ მის წინ გავჩერდი. აკომპანიატორმა შესავალი დაუკრა. მე დავიწყე:

თქვენი საყვარელი — მევიოლინეა, ჭაღარა და კუზიანი,
ის მხეცივით ეჭვიანია, არ უყვარხართ და გცემთ...
მაგრამ, როდესაც ის უკრავს „სარასატეს კონცერტს“,
თქვენი გული ჩიტივით ფართხალებს და მღერის...

მე ვმღეროდი და ვუყურებდი, ჯიქურ ჩავცქეროდი თვალებში ხან ვლადესკოს, ხან სილვიას.

ვლადესკო მისმენდა და მკვდრის ფერი ედო თვალები გადმოსავარდნად გადმოჰკარკლოდა. მთლად მოიბუზა, თითქმის სავარძელში ჩაძვრა.

...მან თქვენ გაგთელათ,
დაგამსხვრიათ,
გაგქურდათ,
გაგაუბედურათ.

სიტყვები ისე ხვდებოდა, როგორც სილაქები. ვლადესკო გაურბოდა მათ, სახეს მალავდა, პროგრამას იფარებდა, მაგრამ მხოლოდ მისთვის გამიზნული, წყრომით, ტემპერამენტითა და ინტუიციის ძალით გაძლიერებული მკაცრი, ზუსტი და ულმობელი ჩემი სიტყვები პოულობდნენ მას:

...და, როცა თქვენ გტანჯავთ ხეპრული ალერსი,
სულმოუთქმელად, უხმოდ სტირით სადღაც კუთხეში,
ის თქვენთვის უკრავს თავის „სარასატეს კონცერტს",
რომელიც სულში სისხლის წვეთებად გეპკურებათ.

— ო...ო...ო...ჰ! — შემომესმა სიმღერით გართულს.
— ო...ო...ო...ჰ!

იგი სიშმაგისა და ტკივილისაგან კვნესოდა, თავს ვეღარ იკავებდა, სახეზე ხელები აეფარებინა.

...ჩამომჭკნარს, ღარიბს, დავრდომილს, სნეულს
გძულთ იგი და გეზიზღებათ საკუთარი თავიც,
მაგრამ ყველაფერს მიუტევებთ „სარასატეს
კონცერტისათვის",
რადგან შმაგი, უძლური და ტკივილიანი გრძნობით გიყვართ!

ხელები, მევიოლინეს თითების მოძრაობას რომ იმეორებდნენ, ჩამოვუშვი. რაღაც მოულოდნელი ინსტიქტით დავანარცხე ძირს წარმოდგენითი ვიოლინო და გამხეცებულმა ფეხი დავკარი.

დარბაზი აფეთქდა... თითქოს იგრძნო, რომ ახლა ეს კონცერტი კი არა, სასამართლოა... სახალხო სამსჯავროა, სამაგიეროს მიზღვაა, შურისძიებაა, ეშაფოტია, რომელსაც ვერსად გაექცევი...

ბრბო ღრიალებდა. ფეხებს აბაგუნებდნენ... ყვიროდნენ... უსტვენდნენ... და ესტრადისკენ კედლივით მოიწევდნენ.

მას კი წამოდგომის ძალაც აღარ ჰქონდა.

კულისებში, ჩემი ოთახი ხალხით იყო სავსე. მეგობრები, ნაცნობები და უცნობები, მსახიობები, მუსიკოსები და ჟურნალისტები მოსულიყვნენ ჩემთან.

ძლივს მოვასწარი სავარძელში ჩაჯდომა, რომ კარებში ვლადესკო გამოჩნდა. გამხეცებული ბრმად მოაბიჯებდა ჩემსკენ, ირგვლივ არავის ამჩნევდა. ხალხს ფეხს ადგამდა, მუჯლუგუნებს სთავაზობდა. ყველა გაითანგა. „ახლა რაღაც საშინელება მოხდება!" — გამიელვა თავში და წამოვდექი!

ერთ წუთს ერთმანეთის წინ სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებისათვის გამზადებული მხეცებივით ვიდექით. ფართოდ დაჭყეტილი, სიბრაზისაგან გათეთრებული თვალებით მიყურებდა და მძიმედ სუნთქავდა. ასე სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. შემდეგ... მასში რაღაც ჩაწყდა, ტკივილისაგან სახე მთლად დაღრიჯა.

— თქვენ... მე მომკალით! მომკალით... — ბუტბუტებდა და სულს ვეღარ ითქვამდა, ხელები უცახცახებდა, [illegible]ლებდა. გიჟურ, ნერვულ ცახცახს აეტანა.

— მე ვიცი... მე მივხვდი... მე... მაგრამ აღარ ჩავიდენ! გესმით? აღარ ჩავიდენ! — მოულოდნელად სასოწარკვეთილმა შეჰყვირა.

თვალებიდან ცრემლი ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა. ველურივით აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თითქოს ეძებდა, რა დაეფიცა.

— თვალებში მომაფურთხეთ! გესმით? მომაფურთხეთ ახლავე! ეს მე ტანჯვას შემიმსუბუქებს.

და თითქოს გადატყდაო, აქვითინდა და სავარძელში ჩაეშვა.

თარგმნა **დიმიტრი გულისაშვილმა**

# კონტრაცეპცია სამსახურს გთავაზობთ

**ქალთა ჯანმრთელობის დაცვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასასურველი ორსულობის თავიდან აცილებისათვის თანამედროვე მეთოდების ფართოდ დანერგვას. კონტრაცეპცია ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას ნიშნავს და უშვილობის პროფილაქტიკის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მას, სრულიად უსაფუძვლოდ, შობადობის შემცირების ფაქტორად თვლიან და მის აკრძალვასაც კი მოითხოვენ.**

**ამას წინათ თბილისში მოწყობილი სიმპოზიუმი თემაზე: „თანამედროვე ჰორმონალური პრეპარატების გამოყენება კონტრაცეპციის და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის მიზნით", სამამულო მეცნიერების ხელშესახებ მიღწევებთან ერთად კონტრაცეპციის მნიშვნელობასთან იყო დაკავშირებული. ერთი სიტყვით, ამ დარგში უკვე საკმაო გამოცდილებაა დაგროვილი და როგორც ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი არჩილ ხომასურიძე ამბობს, კონტრაცეპტივების აკრძალვას შობადობის ზრდასთან კი არა, ხელოვნური აბორტების რიცხვის მკვეთრ მომატებასთან მივყავართ, რაც უშვილობისა და ქალის ჯანმრთელობის გაუარესების ძირითადი მიზეზია. დღევანდელ ინტერვიუში ამ მიმართებით და საერთოდ, ინსტიტუტის მრავალმხრივ საქმიანობაზეა მოთხრობილი.**



ბატონო არჩილ, თქვენ გაზეთ „თბილისის" საშუალებით ახლახანს აცნობეთ მკითხველებს, თქვენს მომავალ პაციენტებს, რომ თუ კი მათ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების მიღება სურთ, რასაც მსოფლიოს წამყვანი კლინიკები იყენებენ, შეუძლიათ მობრძანდნენ ინსტიტუტში, სადაც მათ მიიღებენ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მომართვის გარეშე, უფასოდ, ანონიმურადაც კი, რადგან, როგორც თქვენ ბრძანეთ, მხოლოდ ერთი გაინტერესებთ: ქალის ჯანმრთელობა. თუ შეიძლება ინსტიტუტის საქმიანობაზეც მოგვიყევით.

— **მალე ის წარმოგვიდგება ახალი სახელწოდებით — „ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტი", რაც უფრო შეესაბამება მის დღევანდელ საქმიანობას. ადამიანის „რეპროდუქცია" არის მეცნიერება, რომელიც მამაკაცებსა და ქალებში უშვილობისა და შობადობის რეგულაციის პრობლემებს შეისწავლის. ინსტიტუტში ხომ ორივე მათგანს შეისწავლიან. ამიტომაც, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, ჩვენი ინსტიტუტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. შეიძლება ითქვას, რომ აქ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ტარდება დაავადებათა როგორც დიაგნოსტიკა, ისე მისი მკურნალობა. მთავარი კი ის არის, რომ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები ხორციელდება უშვილობის პროცენტის შესამცირებლად.**

— როგორ გესახებათ მისი გადაწყვეტა?

— **უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება აბორტთან ბრძოლას, რომელსაც არა მარტო განვითარებულ, განვითარებად ქვეყნებშიც აღარ მიმართავენ. ჩვენი რესპუბლიკა კი აბორტების მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, მისი რეგისტრირებული რაოდენობა მშობიარობათა რიცხვს აღემატება. ტრადიციული აბორტი დამაკნინებლად მოქმედებს ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე, გამონაკლისია მინი-აბორტი, რომელსაც ჯერჯერობით მომართვით ვაკეთებთ.**

**ამიტომაც ერთადერთი სწორი გზაა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენება, რომელსაც პრაქტიკულად არავითარი გართულება არ მოჰყვება, არც ჰოსპიტალიზაცია ესაჭიროება და არც რაიმე მატერიალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.**

**ამ მიზნით ინსტიტუტი ნაყოფიერად თანამშრომლობს პრეპარატებისა და სამედიცინო ტექნიკის საზღვარგარეთის საწარმოებთან, რომელთანაც საქმიანი ურთიერთობის გაღრმავება ორმხრივად სასარგებლო იქნება. მაგალითად, ჩვენს გერმანელ კოლეგებს ასევე ეფექტური მიღწევები აქვთ ხელოვნურ განაყოფიერებაშიც, რაც გვინდა შევისწავლოთ და დავნერგოთ. ხელშეკრულებას სპეციალისტთა უვალუტო გაცვლაზე გავაფორმებთ.**

— ყოველივე ეს იმ აზრს ამტკიცებს, რომ მეცნიერებაში მიღწეული წარმატებები პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს...

— **რა თქმა უნდა გასახარია, რომ სწორედ ამ მაჩვენებლის მიხედვით გახდა ჩვენი ინსტიტუტი მსოფლიო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობითი ცენტრი, რაც ქართველი მედიკოსების მიღწევების აღიარებასთან ერთად ჩვენი სამომავლო პასუხისმგებლობის ერთგვარი ავანსიც არის.**

— როგორც ვიცით, თქვენ გარკვეული მიღწევები გაქვთ შობადობის შესწავლის მაჩვენებლების მხრივ.

— **ამიტომ ვამბობ, ძალზე მნიშვნელოვანია-მეთქი ჩვენი პრობლემა. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ყურადღება ამიტომაც მივიქციეთ. ინსტიტუტი ერთ-ერთი საბაზო კვლევითი კერაა მსოფლიოს 14 ასეთ დაწესებულებათა შორის.**

**ჩვენ ამ ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო სპეციალური კომისიის მასპინძელიც გახლდით. შობადობის საქართველოს მაჩვენებელმა (არათანაბარი მაჩვენებელი) ფართო ყურადღება მიიქცია. იგი ევროპისა და მსოფლიო მონაცემს დაემთხვა, რის გამოც ჩვენი მიღწევები კომისიის მუშაობის პროგრამაში აისახა.**

— როგორც თქვენ ბრძანეთ, ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის მთავარი შემადგენელი ნაწილი უშვილობის მკურნალობაა.

— **დიახ, და, როგორც გითხარით, დიდად გვეხმარება პრაქტიკული მიღწევები დიაგნოსტიკაში. ჩვენ ამიერკავკასიაში ერთ-ერთმა პირველებმა დავნერგეთ ე. წ. ლაპარასკოპია (მცირე მენჯის ღრუს ოპტიკური დათვალიერება), ჰორმონალური გამოკვლევების მხრივაც ჩვენს ქვეყანაში წამყვან ადგილზე ვიმყოფებით.**

**საბჭოთა კავშირში მხოლოდ პრაქტიკულად აქ, ჩვენთან კეთდება საშვილოსნოს მილების მიკროქირურგიული ოპერაცია. გავა ხანი და ხელოვნური განაყოფიერების თბილისურ მაჩვენებლებზეც ილაპარაკებენ...**

— რას გვეტყვით იმის შესახებ, მართლა მხოლოდ ქალები არიან უშვილობაში „დამნაშავენი", როგორც მამაკაცები თვლიან?

— **„დამნაშავეთა" 60 პროცენტი თვითონ მამაკაცები არიან. უშვილობას ძალიან ხშირად იწვევს ვენერიული დაავადებანი (რომელთა დიაგნოსტიკა იმის გამო, რომ ყოველდღიურად ძნელდება, მეტ წილად ფარულად მიმდინარეობს), ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და თქვენ წარმოიდგინეთ — სიმსუქნე, რომელიც სქესობრივ ფუნქციას აქვეითებს. მსუქნები კი ჩვენი მოსახლეობის 45 პროცენტს შეადგენენ.**

**ამდენად, მამაკაცების მკურნალობა დღეს ერთობ აქტუალური საკითხია. ხელშესახები პრაქტიკული შედეგები კი მსოფლიო მასშტაბით არცთუ საგრძნობია. ამიტომაც იძენს ესოდენ გამორჩეულ მნიშვნელობას ინსტიტუტის მიმართულება ანდროლოგიის განვითარებისაკენ, რომელიც თავისი მიღწევებით უთუოდ გვერდში უნდა ამოვუყენოთ გინეკოლოგიას.**

— დაბოლოს, ერთი კითხვა: რა არის შობადობის სოციოლოგია და რა მიმართებაშია იგი რეპროდუქციულ განწყობასთან?

— **იგი, როგორც სოციოლოგიური კვლევის ახალი დისციპლინა, დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავებასთან ერთად განვი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარდა და შობადობის რეგულაციის საშუალებას იკვლევს. მისი კვლევის საგანია ოჯახი და ოჯახის რეპროდუქციული ქცევა. იმ რიგ მეთოდებს შორის, რომლებიც საშუალებას იძლევა ოჯახში შვილების რიცხობრივი მაჩვენებლის დადგენისა, ერთ-ერთი რეპროდუქციული განწყობაც არის. „რეპროდუქცია" ამ შემთხვევაში აღწარმოებას ანუ გამრავლებას ნიშნავს, ოღონდ ბავშვთა გარკვეული რიცხვით. იგი, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი, მრავალ ფაქტორს უკავშირდება, რომელთაგან ადამიანის მატერიალური და ჯანმრთელობის ფაქტორი ჭარბობს. ერთი სიტყვით, შობადობის სოციოლოგიური კვლევის დარგში ჩვენ გარკვეული შედეგები მოვიპოვეთ, რადგანაც, მოგეხსენებათ, რეპროდუქციული განწყობის მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია დემოგრაფიულ სიტუაციასთან.

მინდა იცოდეთ, რომ ჩვენი ინსტიტუტის მაჩვენებელი ასევე დაემთხვა ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის მსოფლიო მაჩვენებელს. გამოკითხული ქალების 70 პროცენტზე მეტი, მართლაც, ჯანმრთელობის მდგომარეობას ასახელებს მცირეშვილიანობის მიზეზად. სწორედ ამ კონტინგენტის გამოჯანმრთელებას ემსახურება ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი კერა პოლიკლინიკური განყოფილებითა და 85-ადგილიანი სტაციონარით, რაც, ცხადია, დიდი მნიშვნელობის პრობლემას ვერ აკმაყოფილებს. ამიტომაც ერთგვარი წინ გადადგმული ნაბიჯია რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით მოსახლეობის რეპროდუქციული ქსელის შექმნა. სწორედ ამ კონტინგენტის სამედიცინო დახმარებას ისახავს მიზნად რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გახსნილი სპეციალური კაბინეტები, რაც გარკვეულ პერსპექტივას ქმნის უშვილო ქორწინების თავიდან ასაცილებლად.

დემოგრაფიული სიტუაციისათვის, რა თქმა უნდა, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება შობადობის მატერიალურ ნახალისებას, თუმც ბევრ ქვეყანაში არც ეს აღმოჩნდა მაინცდამაინც რეპროდუქციული განწყობის ამაღლების შედეგი.

მაგრამ, როცა საკითხი ასე ისმის: რა ქნას ახალგაზრდა ქალმა, რომლის ნაყოფიერების პოტენციალში შენახულია არანაკლებ 10-15 მშობიარობის შესაძლებლობა, რა უყოს ორსულობათა იმ რაოდენობას, რომლის მშობიარობით დამთავრებას არ აპირებს — აბორტი თუ კონტრაცეპცია? რა თქმა უნდა — კონტრაცეპცია!

ოჯახის დაგეგმარების პრობლემა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს. ასევე-ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობისათვის მშობიარობის რიცხვი და მისი თანამიმდევრობა. ამიტომაც, ძვირფასო ქალებო, კონტრაცეპცია თავის სამსახურს გთავაზობთ. ინსტიტუტი თქვენ გელით.

ესაუბრა **დალი დვალი.**



# სიახლე სამშობიარო სახლში



მელოგინეთა ფიზიოლოგიური პალატა



ახალშობილთა პათოლოგიური პალატა



ვანის საავადმყოფო

მიმდინარე წლის 3 ივნისს ვანის რაიონის საავადმყოფოსთან გაიხსნა სამშობიარო განყოფილება.

კეთილმოწყობილ, სამსართულიან შენობას ყველა სიკეთესთან ერთად აქვს ლიფტიც.

პირველ სართულზე მოთავსებულია ლამაზი დგამებით მოწყობილი მოსაცდელი ოთახი. პირველ სართულზევეა იზოლირებული პალატები გამონაყრიან და პარაზიტებით დაავადებულთათვის. მესამე სართულზე საოპერაციო და სამშობიარო ოთახებია, ხოლო მეორე სართული მხოლოდ მელოგინეთა სამყოფელია.

თითო ოთახი აქვს დათმობილი ყოველ მელოგინეს და თავის ახალშობილს. იშვიათობაა, მაგრამ ფაქტია, დიახ, ამ სამშობიაროში ქვეყნად ახლად მოვლენილი პატარა მოქალაქე, დღიდან გაჩენისა, დედის გვერდით იწყებს ცხოვრებას.

ქალები მშობიარობის პირველდღიდანვე რაკი შვილს გვერდით იგულებენ, ესმით მისი მშვიდი სუნთქვა და პატარა სხეულის სითბოთი ტკბებიან, მშვიდად გრძნობენ თავს და რძეც ჭარბად მოსდითო, მითხრა ექიმ-პედიატრმა დალი მეფარიშვილმა.

კონდენციონერით ჰაერგასუფთავებულ, გაგრილებულ, ნათელ, მყუდრო და მზით გაჩახჩახებულ ოთახში დედის საწოლის გვერდით დგას ჩვილის საწოლი. იქვე პატარა კარადა, კარადაზე ტელეფონი, პატარა მაგიდაზე მედიკამენტები და სხვა საჭირო ნივთები, სასწორი, ბავშვის ყოველდღიურ ზრდა-მატების შესამოწმებლად და მინი-მაცივარი. ერთი სიტყვით მელოგინე თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, იმ განსხვავებით, რომ აქ მნახველთა მისვლა-მოსვლა სასტიკად აკრძალულია. მელოგინესთან მხოლოდ ტელეფონით შეიძლება საუბარი.

სამშობიარო დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ექიმ-გინეკოლოგებით, პედიატრებითა და ბებია ქალებით. თითოეულ მელოგინეს მეთვალყურეობს თავისი ექიმი გინეკოლოგი, ახალშობილის ჯანმრთელობას კი მიკროპედიატრი დარაჯობს.

აქ ახალბედა დედებს ბავშვის მოვლასაც ასწავლიან, ზოგიერთებს კი არწმუნებენ, რომ თავისუფლად, ლაღად შეხვეული ბავშვები ჯანმრთელები იზრდებიან, რომ აკვანი მავნე და უარყოფითია და სხვა.

— განა გყოფნით ოთახები, რომ ყველა მშობიარე ცალკე გყავთ მოთავსებული? — ვეკითხები ქალბატონ დალის.

— სამწუხაროდ, ჩვენთან შობადობა მცირდება. ახალგაზრდები ტოვებენ რაიონს და ქალაქად გარბიან, ზოგს შვილის გაჩენის ეშინია, ზოგი ორზე მეტს არ აჩენს მოვლა გამიჭირდებაო; ნეტავ კი გვყავდეს ბევრი მშობიარე და რაღაცას კიდევ მოვიფიქრებთ.

ჩვენი კოლექტივი იბრძვის ერის გამრავლებისათვის, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა გავზარდოთ შობადობა. ამ საქმეში მხარში გვიდგას რაიკომის მდივანი, ქალთა საბჭოს თავმჯდომარე მადონა მესხი. მასთან ერთად ხშირად გავდივართ სოფლებში და ვატარებთ საუბრებს აბორტის მავნეობაზე, ვცდილობთ, განვაწყოთ დედები მრავალშვილიანობისათვის და დავარწმუნოთ, რომ ის, ვინც მრავალ შვილს ზრდის, ამით დიდ სამსახურს უწევს სამშობლოს, თავის ერს და საკუთარ თავს. გარდა ამისა, შედგენილი გვაქვს განრიგი, რის მიხედვითაც გავდივართ სოფლებში და ადგილზე ვმკურნალობთ ან რჩევა-დარიგებებს ვაძლევთ ფეხმძიმე ქალებს. ყურადღებას არ ვაკლებთ მრავალშვილიან და ხელმოკლე ოჯახებს; მალე სამშობიაროსთან გაიხსნება საწარმო, საიდანაც უძუძური მელოგინეები ბავშვებისათვის მიიღებენ რძის პროდუქტებს.

კმაყოფილების გრძნობით ვტოვებ ამ მშვენიერ სამშობიარო სახლს და ცნობისმოყვარეობა მიპყრობს, ნეტავ სხვა რაიონის სამშობიაროებიც ასე კეთილმოწყობილია?

**ელისო ბილანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისი სავალი გზა



გორის რაიონის სოფელ კარალეთის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის № 1 საბავშვო ბაგა-ბაღის დამლაგებელი ჟენია შაყულაშვილი თავისი პატიოსნებითა და კეთილსინდისიერი შრომით სოფელში დამსახურებული აღიარებით სარგებლობს. 1941 წელს მისი სულ ახალგაზრდა მეუღლე კოლა (ნიკოლოზი) პირველივე მობილიზაციით სამამულო ომში გაიწვიეს. ჟენია იმ დღიდან მოყოლებული ჯერ კოლმეურნეობაში, შემდეგ მეურნეობაში მუშაობდა. 1970 წლიდან კი ბაგაბაღს მიაშურა იმ რწმენით, სადაც იქნები, იქ უნდა ვარგოდეო. ჰოდა, აკი სისუფთავის ნათელი ეფინება ბაღში ყველაფერს. ოთახებს და დერეფნებს რომ მიაკრიალებს, მერე ეზოს აკოხტავებს და ალამაზებს.

ხალხი სამართლიანია, აუგს არავის აპატიებს და სიკეთესაც არვის დაუკარგავს, სწორედ ყველაფერში კეთილსინდისიერებისათვის შეარქვა სოფელმა ჟენიას „ნამუსიანი ქალი".

იმ ფერდაკარგულ სამკუთხა ბარათებიდან, ორმოცდაშვიდი წლის მანძილზე სათუთად რომ ინახავს ჟენია, 1943 წლის 17 აგვისტოთი დათარიღებული ბარათი აღმოჩნდა უკანასკნელი.

— ისე წავიდა წუთისოფლიდან, შვილის სიკვდილი არ მიმიწერია; ბავშვების თითების მონახაზები გამომიგზავნეო რომ მთხოვა, ლენასი ხო, მაგრამ... ეთერის მაგიერ იმისი კბილა მეზობლის გოგოს თითები შემოვხაზე და ის გავუგზავნე... სევდანარევი ხმით მიამბობდა ჟენია.

ძნელი იყო მისთვის მარტო სავალი გზა, მაგრამ გული გაიმაგრა, ჯერ სხვების მაგალითით იარა, მერე თავად იქცა მრავალთათვის სამაგალითოდ. ნაგუბარში წყალი ჩადგაო, იტყოდა ხოლმე და მართლაც, ოჯახი ოჯახს დაამსგავსა, შინმოუსვლელ ვაჟკაცის კერაზე ცეცხლი არ განელა. სიძემაც არ გაწირა მარტოობისთვის ერთი შვილის დედა და თავად გადავიდა მათთან საცხოვრებლად. ყოჩაღი ბიჭი გამოდგა შურა პეტუაშვილი. კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშები არიან სიძე-ქალიშვილი.

— დედა-შვილი საცოდავად დავკინკილებდით, ახლა ცხრანი ვართ, სამი შვილიშვილი ჩემს კალთის ქვეშ დაფრთიანდა. უფროსი — კობა ორი შვილის მამაა, გიამ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიარა და ახლა ტექნიკუმში სწავლობს, ნაზი და კობას მეუღლე მეურნეობაში მუშაობენ. ყველა გამრჯეა შინ თუ გარეთ. ბედნიერი ვარ, ოჯახი აგვიყრიამულდა, მაგრამ... ნეტავი ის საცოდავი მოსწრებოდა... ცრემლი აუციალდა თვალებში და ორი მსხვილი კურცხალი მოსწყდა.

რამდენიმე წლის წინ ჟენიას კოლას თანამებრძოლი, სოხუმელი ნოე ქუდავა ესტუმრა და უთხრა კოლას საფლავის მოძებნაში დაგეხმარებიო.

გაიხარა ჟენიამ. ოღონდ საფლავი მაპოვნინა და ცოცხალივით ჩავთვლი ჩემ კოლასო. ნოე ქუდავას შესანიშნავად ახსოვდა კოლას უკანასკნელი საბრძოლო ადგილები. მიმართა ქალაქ იზიუმის ხელმძღვანელობას... ქალაქის № 1 საშუალო სკოლის წითელკვალმაძიებლებმა იზიუმიდან 30 კილომეტრის დაშორებით სოფელ ზავოდში, საძმო საფლავში აღმოაჩინეს ნიკოლოზ (კოლა) შაყულაშვილის სამარე.

რაღა გააჩერებდა მთელი ცხოვრება სასწაულის მომლოდინე ქალს. სიძე-ქალიშვილთან და მეუღლის ფრონტელ მეგობრებთან ერთად ეწვია იზიუმის რაიონის სოფელ ზაკოდას.

გზა იპოვა დიდი ხნის დაგუბებულმა ცრემლმა, ოცდაორი წლის ქალის განცდით დაიტირა ოცდაშვიდი წლის ვაჟკაცი, საცაა სამოცდაათს მიტანებულმა ჟენიამ და ქართული მიწა თავისი ხელით დააყარა მეუღლის საფლავს.

ერთი უბრალო ქალია ჟენია შაყულაშვილი. მიწის მადლი და მიწის ყადრი რომ იცის, სოფელში დაიბადა, სოფელში გაატარა მთელი თავისი მწარ-ტკბილი ცხოვრება და ახლა დამსახურებული აღიარებით სარგებლობს.

ოლია ბრაგვაძე,
გორის საქალაქო გაზეთ „გამარჯვების" კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობს მოსკოვში

# ადამიანი ვარდი როდია...

მოსკოვში, თუ მეტრო „სოკოლიდან“ ვოლოკოლამსკის გზატკეცილს გაუყვებით, გასცდებით ხალხმრავალ ქუჩებს და ცოტა განაპირდებით, დაინახავთ კარგა მანძილზე გაჭიმულ თეთრ მესერს, რომლის მიღმა მე-12 კლინიკური საავადმყოფოა.

გადააბიჯებთ თუ არა ზღურბლს, მყუდრო პარკში მოხვდებით.

...პარკში მოსეირნე სიმპათიურმა წყვილმა მიმასწავლა გზა ადმინისტრაციის შენობისაკენ.

ხეივანს გავუყევი. თვალში აფიშა მომხვდა. დღეს ესა და ეს განყოფილება, ამა და ამ კორპუსში საღამოს 6 საათზე თვითმოქმედების კონცერტს გამართავსო. დასასრულ კი ცეკვები იქნებაო, ეწერა აფიშაში. ყველაფერი ისეა-მეთქი, ვიფიქრე, როგორც სანატორიუმში.

ადმინისტრაციული შენობის ძველებური, კოშკურებიანი ნაგებობა ბაღში გამავალი ფანჯრებით და დაბალი, ფართო კიბეებით გასული საუკუნის კერძო საცხოვრებელ სახლს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე დაწესებულებას.

ფაქიზად მილაგებულ მყუდრო მისაღებში თავაზიანად შემომეგება თეთრხალათიანი ქალი. ვინ გნებავთო, მკითხა. რომ გაიგო, მთავარი ექიმი მინდოდა, პალტო ჩამომართვა და მითხრა, მეორე სართულზე აბრძანდით, ამალია სემიონოვნა იქ არისო.

ამალია სემიონოვნა... დიახ, ამალია სიმონის ასული კალანდარიშვილი მოსკოვის მე-12 კლინიკურ ფსიქოთერაპიული საავადმყოფოს მთავარი ექიმია. კავკასიური იერი აქვს ქალბატონ ამალიას, შავი თმა და შავი, შუქიანი თვალები.

— წარმოშობით გურულები ვართ, სოფელ კვირიკეთიდან, — მეუბნება ღიმილით.

— ნესტორ კალანდარიშვილი ხომ არაფერია თქვენი, ისიც კვირიკეთიდან იყო.

— ბაბუად მერგება, მამაჩემის მამის მკვიდრი ბიძაშვილი იყო... რევოლუციონერი, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი, „ციმბირის პაპად“ წოდებული.

ქალბატონი ამალია წამით ჩაფიქრდა, ბავშვობა თუ გაახსენდა. დედით ობოლი ჩვილი დედის ძმამ, ალექსანდრე ხურციამ წაიყვანა სოფელში და საკუთარ შვილებთან ერთად ზრდიდა. ბიძაშვილები ოთხნი იყვნენ და ყველანი ბულბულებივით მღეროდნენ. უფროსი მაინც გამოირჩეოდა. ნიქმა თავისი გზა მონახა და ნიკო ხურცია ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი გახდა. ახლაც ტკბილად ჩაესმის ქალბატონ ამალიას „ოუ, ჩელას“, სევდიანი ხმა...

ვიღაცამ მორიდებით შემოაღო კარი. ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა.

— ხვალ გამწერენ. მინდა დაგემშვიდობოთ. თქვენ სიცოცხლისაკენ მომახედეთ. მადლობელი ვარ... თქვა და მკერდზე მიკრული წიგნი მაგიდაზე დადო.

— ხომ იცით, როგორ არ მიყვარს ასეთი რამ!

— ვიცი, ვიცი. მაგრამ... წიგნს დავხედე, ქ. რახინის ტრაგედიები იყო. ექიმი დუმდა. ქალი ისევე მორიდებით გავიდა, ქალბატონი ამალია სავარძელში ჩაჯდა.

— ძნელია ფიზიკური ტკივილი, მაგრამ სულიერ ტკივილს არაფერი შეედრება. ჩვენთან ხომ სულიერად გატანჯული ხალხი მოდის. ამ ქალს ქმარი კატასტროფაში დაეღუპა. ჩვენთან რომ მოიყვანეს, ხმას არ იღებდა, გაუნძრევლად იწვა, არც სვამდა, არც ჭამდა, შვილის დანახვაც არ უნდოდა...

— დიდი ხანია ამ დარგს ემსახურებით?

— 1947 წლიდან. ამ წელს დავამთავრე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. ქირურგობაზე ვოცნებობდი, ვცდილობდი როგორმე ე. ფიფიას ოპერაციებზე მოვხვედრილიყავი, მაგრამ ჩემი მომავალი პროფესია პროფესორმა აკაკი გოცირიძემ განსაზღვრა. მაშინ ბატონი აკაკი ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის გამგე იყო და ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. მისი რეკომენდაციით დამნიშნეს ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის კოჯრის ფილიალის მთავარ ექიმად.

მოსკოვშიც ა. გოცირიძის რეკომენდაციით წავიდა 1951 წელს ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად ამალია კალანდარიშვილი. ამ დროიდან მოკიდებული იგი მოსკოვშია. მუშაობდა მოსკოვის ოლქის № 2 ფსიქიატრიულ სავადმყოფოში ჯერ ექიმად, შემდეგ კი განყოფილების გამგედ. 1955-58 წლებში მოსკოვის ოლქის მთავარი ფსიქიატრი იყო. 1958 წელს მოსკოვის მე-12 ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად გადაიყვანეს.

მაშინ ეს ახალი კორპუსები არ იყო. ავადმყოფებისათვის მხოლოდ ასი საწოლი ჰქონდათ, ერთხანს საკუთარი ბინაც კი საავადმყოფოს დაუთმო ქალბატონმა ამალიამ. მისი ინიციატივით და დაუცხრომელი ენერგიის წყალობით აშენდა შემდეგ ახალი ფართო და კეთილმოწყობილი შენობა. ახლა საავადმყოფოში ათი განყოფილება და ექვსასზე მეტი საწოლია. იგი სამი კლინიკის ბაზაა — ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ფსიქიატრიული კათედრის, ლოგონევროზების კლინიკური ლაბორატორიის და ფსიქოფარმაკოლოგიის ლაბორატორიისა. ერთხანს ლოგონევროზების ლაბორატორიას ქართული ფსიქიატრიული სკოლის მამამთავრის პროფ. მიხეილ ასათიანის ქალიშვილი ნინო ასათიანი მეურვეობდა.

— როგორ ახერხებთ, რომ ასეთ ავადმყოფებს სჯეროდეთ თქვენი, გენდობიან და გემორჩილებიან?

— მე მათ არასოდეს არ ვატყუებ, სიმართლეს ვეუბნები და წარმოიდგინეთ, სჯეროდეთ ჩემი. ჩვენთან შეამჩნევდით, ავადმყოფები თავისუფლად დადიან, ახლობლებს შეუძლიათ ყოველდღე მოინახულონ ისინი. მტკიცე სამკურნალო რეჟიმთან ერთად, ვცდილობთ იმგვარი პირობები შევუქმნათ, რომ ავადმყოფებმა ცხოვრებისაგან გარიყულად არ იგრძნონ თავი.

ალბათ ჩვენი მკურნალობის შედეგებიც გაინტერესებთ, — დამასწრო ექიმმა, რასაკვირველია, არის დაავადებები, რომელთაც ხელის ერთი მოსმით საბოლოოდ ვერ განკურნავ. სამწუხაროდ, ფსიქიატრიის მსოფლიო მიღწევები ჯერ ამის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენთან მოსულ ავადმყოფს შვება არ ეგრძნოს, სიცოცხლის ხალისი არ შეეძინოს და ცხოვრებას არ დაბრუნებოდეს, თუმცა ზოგს მეტი დრო სჭირდება, ზოგს ნაკლები.

ქალბატონი ამალია წამოდგა, კარადა გამოაღო, თაროზე დაწყობილ მოზრდილ საქაღალდეზე მიმითითა და მითხრა: — ამ საქაღალდეებში ჩვენი შრომის შედეგების დამადასტურებელი საბუთები — ყოფილი პაციენტების წერილებია. გვწერენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან, საზღვარგარეთიდან, გვწერენ მადლიერებით, ხან გულისშემძვრელად, მაგრამ მაინც იმედიანად...

მთავარი ექიმის კაბინეტიდან რომ გამოვედი, მოსკოვური დღე უკვე მილეულიყო. ბაღი სავსე იყო ძილის წინ ჰაერზე გამოსული ავადმყოფებით.

ზღურბლს რომ გადავაბიჯე და ქუჩაში გავედი, ვგრძნობდი, გულში უსაზღვრო იმედი ღვიოდა, იმედი ადამიანთა თანადგომისა, და კიდევ იმისა, რომ უბედურების ჟამს კაცი მარტო არ არის, გვერდში ხვდა უდგას, ვინც ხელს შეაშველებს, ძირს არ დასცემს.

**რედაქციის მინაწერი:** სანამ წერილი დაიბეჭდებოდა, შევიტყვეთ, რომ ამალია კალანდარიშვილი დამსახურებულ პენსიაზე გასულა, მაგრამ ერთი დღითაც არ ტოვებს საავადმყოფოს, ახლა იგი მთავარი კონსულტანტია.

ციალა ცერცვაძე,

საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

# ბელა მირიანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა





სპექტაკლიდან „ქართლის ჩირაღდნები"



სპექტაკლიდან „ჭინჭრაქა"



სპექტაკლიდან „პატარა უფლისწული"



სპექტაკლიდან „ქართლის ჩირაღდნები"

ბელა მირიანაშვილი სტუდენტობის წლებიდანვე აქტიურად ჩაება სამსახიობო ხელოვნების რთულ და საინტერესო ცხოვრებაში. ინსტიტუტის პატარა სცენაზე ვლინდებოდა და ყალიბდებოდა მისი ინდივიდუალური სამსახიობო ოსტატობა, გარდასახვის უნარი და როლზე მუშაობის სიყვარული, სამსახიობო ოსტატობის საფუძვლებს იგი ცნობილი ქართველი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა, რომლის ბევრი საინტერესო რჩევა-დარიგება მომავალი მსახიობისათვის ყურადსაღები აღმოჩნდა. ამ თვისებების განვითარებასა და გაღრმავებაში დიდი როლი შეასრულა რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა. მან ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტი მიიწვია რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „როცა ასეთი სიყვარულია", სადაც ლიდა მატისოვას როლის შესრულება დააკისრა. მისი გმირი გულმართალი, სულიერად მდიდარი და ჭკვიანი ქალიშვილი იყო, რომელიც იბრძოდა სიყვარულისათვის. ლიდა მატისოვას სახეში მსახიობი აერთიანებდა ლირიზმს, სცენურ მომხიბვლელობასა და ტრაგიკულ ძალას.

უ. გიბსონის „სასწაულმოქმედში" ბ. მირიანაშვილმა მთავარი როლი განასახიერა: მსახიობი პირველივე გამოჩენით ხაზავდა გმირის ბუნების კონტურებს, ელენეს ახასიათებდა გარემოს შეცნობის სურვილი, ხოლო ნერვული მდგომარეობა ხაზს უსვამდა გოგონას ქცევის სირთულეს. მსახიობი თანდათანობით, ზეაღმავალი განცდით გამოხატავდა ელენეს ბუნებაში დატრიალებულ მოვლენებს და ამოძრავებულ ადამიანურ გრძნობებს. ბ. მირიანაშვილი მკვეთრად გამოჰყოფდა გმირის ჯერ ბოროტ და თავხედურ ბუნებას, რომელიც შემდგომში უპირისპირდებოდა მის გარდაქმნილ საღ გონებას და სისპეტაკეს.

სულ სხვა თვისებები გამოამჟღავნა ბ. მირიანაშვილმა სპექტაკლ „ჭინჭრაქაში". მსახიობმა მზიას სახის შექმნისათვის გამოიყენა იუმორი და ორიგინალური გამომსახველობითი საშუალებები. „ბალეტის" დედოფლის სტილში მოძებნილმა სცენურმა ფორმამ სიცოცხლე და პაეროვნება შემატა გმირს.

შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარში" მსახიობმა ტყის სულის მხიარული და ეშმაკი პაკის საინტერესო სახე შექმნა: იგი გამოირჩეოდა ნათლად გამოკვეთილი ლირიკული ელფერით. გმირის პოეტური ფანტაზია ერწყმოდა შექსპირისეულ იუმორს. პაკის სახე მსახიობმა მთლიანად პლასტიკური საშუალებებით გადაწყვიტა. არც ერთი სცენური წამი არ იყო უმოძრაო. პაკი იმ ტყის, ხისა თუ ტოტის ნაწილად წარმოგვიდგებოდა, სადაც ვითარდებოდა მოქმედება.

შექსპირის გმირებთან შეხვედრა ამ როლით არ დამთავრებულა. მსახიობმა „მეფე ლირში" კორდელია განასახიერა. კორდელია, ბ. მირიანაშვილის წარმოსახვით, საოცრად მოკრძალებული და მოსიყვარულე ქალიშვილი იყო. იგი მალავდა ფაქიზ გრძნობებს და არ ცდილობდა გაემჟღავნებინა თავისი პიროვნული თვისებები სხვების წინაშე. სწორედ გარეგნული სახისა და შინაგანი განცდის საპირისპირო წარმოსახვა იწვევდა კორდელიას ტრაგიზმს. მიუხედავად კორდელიას სახის ასეთი გადაწყვეტისა მთლიანად მაინც ვერ გამოვლინდა მსახიობის ის მდიდარი შესაძლებლობები, რომლებიც ნათლად შეიმჩნეოდა ადრე განსახიერებულ გმირებში.

ტ. უილიამსის „შუშის სამხეცეში" ბ. მირიანაშვილმა ლაურას საინტერესო სახე შექმნა. მისი გმირი ნერვული და გულჩათხრობილი ადამიანია. იგი მალავს გრძნობებს, რომლებსაც მხოლოდ თავის „მეგობრებს" პატარა შუშის მხეცებს ანდობს. ბ. მირიანაშვილის თამაშში იგრძნობოდა გამომსახველობითი საშუალებების სიძუნწე, მხოლოდ ზუსტი ჟესტები; მიმიკა, ხმის ინტონაცია გადმოსცემდა იმ გრძნობებს, რომლებიც მას ეუფლებოდა. მსახიობი ახერხებდა გადმოეცა ლაურას ხასიათის ცვალებადობა იმედიდან სასოწარკვეთილებამდე და სისუსტიდან ძლიერებამდე.

ლაურა უბრალო, დაჩაგრული გოგონაა, რომელსაც იმდენად ფიზიკური ნაკლი არ სტანჯავს, რამდენადაც მოჩვენებითი გონებრივი არასრულფასოვნება. მისთვის მთავარია მხოლოდ შუშის სამხეცე. მაგრამ ჯიმის გამოჩენით ბუნებაში ... სიცოცხლისა და სიყვარულის სურვილი. მან თითქოს მოიცილა ის იდუმალი საბურველი, სხვებისაგან რომ გამოარჩევდა, მაგრამ მთლიანად მაინც არ ტოვებს ნაღვლიანი უნდობლობა — თითქოს ეს ურთიერთობა არ არის ცხოვრებასთან დამაკავშირებელი. იგი მარტოობის სიმბოლოდ იქცა საკუთარი კომპლექსის გამო. ლაურა სულიერად მდიდარი ადამიანია, მაგრამ ესმის, რომ საკუთარ შინაგან წინააღმდეგობას ვერ დაძლევს. ამიტომაც ჩაიკეტება შუშის სამხეცეში, სადაც თავისი სამყარო შექმნა. გმირის პიროვნული დრამა ის არის, რომ უჭირს ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება. ასეთ სულიერ მეტამორფოზებს მიაღწია ბ. მირიანაშვილმა ლაურას სახეში და სცენაზე გადაგვიშალა გმირის საინტერესო სამყარო.

ბ. მირიანაშვილი მარია ხოსეფას რთულ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს წარმოსახავდა სპექტაკლ „ბერნარდა ალბას სახლში". იგი საკუთარ სულიერ დეპრესიას აგრძნობინებდა ალბას ტყვეობაში მყოფ ქალიშვილებს, რომ მისი უბედურების მაგალითი აეცდინათ და დაუყოვნებლივ მოეძებნათ გამოსავალი. დათმობის გზას დამდგარი გმირის შინაგანი ბუნების გახსნით მსახიობი აძლიერებდა არსებულ დრამატულ ვითარებას, რამაც იგი სიგიჟის პირამდე მიიყვანა.

რუსთაველის თეატრში მუშაობასთან ერთად ბ. მირიანაშვილს სტუდენტობის წლებიდან იწვევდნენ კინოშიც, სადაც მან შექმნა შემდეგი საინტერესო სახეები: თებროლე („საბუდარელი ჭაბუკი"), ლიანა („წარსული ზაფხული"), ფარიდე („მამლუქი"), ლამარა („დღე პირველი, დღე უკანასკნელი").

როცა თვალს ვავლებთ ბელა მირიანაშვილის გმირთა გალერეას, ვრწმუნდებით მათ გასაოცარ სცენურობაში. მსახიობს არ უჭირდა რამპის გადალახვა და მაყურებელთან მჭიდრო კავშირის დამყარება. მისი გმირები გამოირჩეოდნენ სიცოცხლისუნარიანობით, უშუალობით, სულიერი სამყაროს მეტად თავისებური ხედვით. ამას გარდა, მსახიობი ყოველთვის ეძებდა როლის პლასტიკურ მონახაზს, რაც უადვილებდა განსასახიერებელი გმირის ხასიათის დამაჯერებლად გახსნასა და ჩამოყალიბებას.

ბ. მირიანაშვილი საინტერესოდ განაგრძობს შემოქმედებითს საქმიანობას რუსთაველის თეატრში რეჟისორის ასისტენტად, წლების მანძილზე იგი განუყრელად თანამშრომლობს რობერტ სტურუასთან. თავის მსახიობურ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს და აქტიურად მონაწილეობს სპექტაკლების შექმნაში.

ბუბაჲ მეგრელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვაშლოვანის საბავშვო სახლის აღზრდილები

# ბარათები სიკეთეს იხსენებენ

საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთი საინტერესო რუბრიკა „წერილის დღე" ამას წინათ საბავშვო სახლის ყოფილი აღსაზრდელის წერილს დაეთმო. ბარათის ავტორი 50-60-იან წლებში თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ვაშლოვანის საბავშვო სახლში გატარებულ დღეებს იხსენებდა.

„დღეს საბავშვო სახლებისადმი ესოდენმა ყურადღებამ ჩემი წარსული შემახსენა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში და გზაც გამიკაფა. საბავშვო სახლის დირექტორს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს არჩილ საგინაშვილს მამას ვეძახდითო... და ცარო იგონებდა წლებს, როცა დიდ სამამულო ომში დაღუპული მშობლების შვილებს იმ დიდ ოჯახში სითბო და ზრუნვა არ მოკლებიათ.

ვაშლოვანის საბავშვო სახლი მუდამ მოწინავეთა რიგებში იხსენიებოდა. მან არაერთი გზასაცდენილი ბავშვი დააყენა გზაზე და დღეს იქ გაზრდილი ადამიანები, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე შრომობენ სახელოვნად. თითოეული ჩვენთაგანი იმ სახლის დირექტორის ნათელ ხსოვნას მარად გულში ვინახავთ; მადლობელი ვართ აღმზდელების: თამარ საკანდელიძის, ციცინო აბაშიძის, ნატა ხეხელაშვილის, ლოლა ჭკუასელის, და უფროსი პიონერხელმძღვანელის ნათელა ფაილოძის.

ერთხელ თბილისის პირველ საავადმყოფოში სასწრაფოდ ჩამომიყვანა ნათელა ფაილოძემ. ბრმა ნაწლავის ოპერაცია გამიკეთეს. მახსოვს ავადმყოფ ბავშვებს პალატაში დედები დასტრიალებენ თავს, მე კი ერთადერთ იმედად ნათელა ხელმძღვანელი მყავდა. არასოდეს დამავიწყდება ის სიხარული, როცა საავადმყოფოდან ნათელა ფაილოძემ თავისი ბიძის ოჯახში წამიყვანა. ერთი კვირა იქ მივლიდნენ. არა, ამის დავიწყება არ შეიძლება!" — წერდა დღეს კოჯრის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი ცარო ქავთარაძე (სურათზე მარცხნიდან მესამე).

მისმა ბარათმა სოფელი ვაშლოვანის საბავშვო სახლი გამახსენა, სადაც ჩემი დამოუკიდებელი შრომის გზა დაიწყო. თუმცა ასაკით აღსაზრდელებისაგან ბევრით არ განვსხვავდებოდი.

მეორე დღესვე გავუგზავნე ცაროს წერილი, მივწერე, რომ ყველა მახსოვს მასთან ერთად, ვინც საბავშვო სახლში იზრდებოდა.

მიხარია, რომ პედაგოგის გზა აურჩევია ცაროს და რაკი ყოფილი აღმზრდელების სითბო და სიკეთე ახსოვს, მჯერა თვითონაც ისეთივე იქნება თავისი აღსაზრდელებისადმი, მიხარია, რომ 3 შვილის დედაა. ვთხოვე ეცნობებინა საბავშვო სახლში სიყოჩაღით გამორჩეულ ლენა ბეჟიაშვილის მისამართი. ვაცნობე, რომ ციალა კოკაია (ამ სურათზე მარცხნიდან პირველი) ჭიათურაშია, ბუნიკაურის სპეცსკოლაში მუშაობს პედაგოგად, რომ შერი ბერუაშვილი თბილისშია, საბავშვო ბაღში მოღვაწეობს; გუგული ნიავაძე მედიცინის დაა, ამირან ბეჟიაშვილი ინჟინერია. ორივენი რუსთავში ცხოვრობენ... და ისიც მივწერე, რომ ჩემთვისაც სამახსოვროა საბავშვო სახლში მუშაობის წლები, რომ მათი სითბო დღემდე მომყვება და რომ ამ წლებმა განსაზღვრა მთელი ჩემი მომავალი საქმიანობა, როგორც პედაგოგისა და ჟურნალისტის.

პასუხიც მალე დამიბრუნდა: „...ნათელა დეიდა, თქვენმა წერილმა დიდად გამახარა, მართალი ბრძანდებით, საბავშვო სახლში ჟენიას მეძახდნენ, ცარო მეგობრებმა შემარქვეს და შემრჩა ეს სახელი...

30 წელიწადია აღმზრდელად ვმუშაობ. ბავშვები ძალიან მიყვარს. არასოდეს გამჭირვებია მათთან ურთიერთობა. მათგანაც დიდ სითბოს ვგრძნობ. შვილები კარგი მყავს. ლენა ბეჟიაშვილი ჭიათურაში ცხოვრობს, 4 შვილის დედაა, ლიზიკო ქოროღლიშვილი (სურათზე მარცხნიდან მეორე ახალციხის სკოლა-ინტერნატში მუშაობს, ქმარ-შვილი ჰყავს. ჩემს ამხანაგებს ნაკლებად ვხვდები, რადგან ოჯახით და სამსახურით ძალიან დატვირთული ვარ.

ჩემო ნათელა დეიდა, დიდი მადლობელი ვარ ყურადღებისათვის. მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, სიხარული და ხანგრძლივი სიცოცხლე. თქვენდამი უდიდეს პატივისცემას და სიყვარულს მარად გულით ვატარებ. ამ სურათმა იქნებ უკეთ მოგაგონოთ ჩვენი სახე".

ცაროს ბარათს მალე თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მასწავლებლის ლამარა სამანიშვილის წერილიც მოჰყვა.

„ნათელა დეიდა, ტელევიზიით მოვისმინე ცარო ქავთარაძის წერილის შინაარსი. მეც იგივე, და მეტიც შემიძლია ვთქვა. მართალია, მე საავადმყოფოში არ მომწევია თქვენი მეურვეობა, მაგრამ გასახსენებელი და სასიამოვნო მოგონებები თქვენზე მეც ბევრი მაქვს.

თუ გახსოვთ, მაშინ ფაბრიკებს მუშახელი უჭირდა და დროდადრო საბავშვო სახლის ბავშვებს 8 კლასის დამთავრების შემდეგ იქ აგზავნიდნენ. ჩვენ ხუთოსნები ვიყავით — ნუნუ ჯაფარიძე, გუგული ნიავაძე, ციალა კოკაია, მერი ბერუაშვილი, თამრიკო ბაჩკაშვილი, მე და კიდევ სხვები.

საბავშვო სახლის დირექტორს ვენანებოდით იქ გასაგზავნად, ყველა ვგრძნობდით, რომ ჯერ მომზადებულები არ ვიყავით დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. არც საერთო საცხოვრებელში ცხოვრების გამოცდილება გვქონდა, წუხდით, ვაი თუ ყურადღება მოაკლდეთ და გოგონები გზას ასცდნენო.

მახსოვს, თბილისში ჩვენი თავი როგორ შეაცოდეთ მიმღებ კომისიას. ...ომისაგან დანგრეული ოჯახის ბავშვებია, ნიჭიერები, აქტიურები, ამათგან კარგი პედაგოგები უფრო დადგებიანო, არწმუნებდით მათ და გაიმარჯვეთ კიდეც.

წლების მანძილზე რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. მაშინ მიმაჩვიეთ ბავშვებთან მუშაობას, მათ ხელმძღვანელობას, საქმის ორგანიზაციას. მაშინ მირჩიეთ, შენგან კარგი მასწავლებელი გამოვაო; მივყევ ამ რჩევას, დავამთავრე გოგებაშვილის სახელობის პედსასწავლებელი, მერე თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი, კვლავ დავბრუნდი ვაშლოვანის საბავშვო სახლში და 15 წელი ვიმუშავე პიონერხელმძღვანელად იქ, სადაც თქვენ ოდესღაც სამუშაოდ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგზურით ჩამოხვედით. შემდეგ დეფექტოლოგიური ორწლიანი კურსებიც დავამთავრე და უკვე 15 წელზე მეტია სმენადაქვეითებულ ბავშვებთან ვმუშაობ. ვცდილობ მათთან ისეთივე ყურადღებიანი და მზრუნველი ვიყო, როგორც ჩვენდამი იყო საბავშვო სახლის კოლექტივი.

კარგი ურთიერთობა გვაქვს მაშინდელ ამხანაგებს. ნუნუ ჯაფარიძეს 6 სახელოვანი შვილი ჰყავს. მერი ბერუაშვილმაც ორი საუკეთესო შვილი გაზარდა. მერი ჯაფარიძე სვანეთშია, სკოლის დირექტორად მუშაობს, კარგი დედა და მეუღლეა. ყურადღებას არ ვაკლებთ ჩვენი დრექტორის არჩილ საგინაშვილის მეუღლეს — თამარა დეიდას, შვილისა და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ განსაკუთრებით ჭირდება მას ჩვენი მიკითხვა. როცა ტელევიზიით ცაროს წერილის შინაარსს ვისმენდი, ვტიროდი. ნათელა დეიდა, ეს სიხარულის ცრემლები იყო. თურმე იმ პატარა, ცქრიალა გოგონას დღემდე მოჰყვება აღმზრდელის სიკეთით მინიჭებული სითბო. ასეთი რამ სჭირდებათ ადამიანებს.

* * *

...ბარათებს, რაც კი საბავშვოსახლელებისაგან მიმიღია, სათუთად ვინახავ. ეს ჩემი ცხოვრებაა, მათი ავტორები ხომ ის პიროვნებები არიან, რომლებმაც დამოუკიდებელი ცხოვრების გზის დასაწყისშივე განსაზღვრეს ჩემი სამომავლო გზა.

ასეთი ბარათები კვლავ შეგვახსენებს, რომ დათესილი სიკეთის არცერთი მარცვალი არ იკარგება. სიკეთე ბავშვებს მართლაც იმთავითვე სჭირდებათ, რათა შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვეთ და სხვებსაც გადასცენ...

ნათელა ფაილოძე

# ქალთა სკოლა წალენჯიხაში

დიდი ილიას გაზეთ „ივერიის" 1902 წლის № 6-ში გამოქვეყნებულია საკმაოდ ვრცელი კორესპონდენცია (გვ. 2—3), „მგზავრი-"ს ხელმოწერით, სადაც ვკითხულობთ: „ორი წელიწადია მხოლოდ, რაც ჩვენს სოფელს ძლივს ერთი სამინისტრო სკოლა ეღირსა... ქართული ენა წინად ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთათვის, რაღაც ჩინურს ენას წარმოადგენდა და ეს სამწუხარო მოვლენა უთუოდ დიდხანს გასტანდა კიდევ, რომ გულშემატკივარნი არ აღმოსჩენოდნენ. ამის გამო დაბა წალენჯიხაში ეხლა ხშირად შეხვდებით ქართულის მცოდნესა და აქა-იქ ქართულს გაზეთებსაც. არ შეიძლება აგრეთვე მომავალ დედების სიბნელეს, მათს უნაყოფო სახლში ჯდომასა და ხეტიალს არ მიექცია ყურადღება ჩვენის ქართველის მანდილოსნებისა, რომლებიც აგერ ათი წელიწადია ჰფიქრობენ საბოქაულოს შუა გულში, დ. წალენჯიხაში დაეარსებინათ საქალებო სასწავლებელი, სადაც მოზარდს ბავშვებს შესძლებოდათ დედა-ენისა და ხელ საქმის შესწავლა. ამათ შორის თავისის გულმტკივნეულობითა და ქველმოქმედებით ყურადღებას იქცევდნენ კნეინა ვარდოვნა დადიანისა, ლორთქიფანიძის ასული და თავ. ტ. ნ. დადიანი, რომლებმაც წმინდა მოვალეობად მიიჩნიეს ადგილობრივს ქალებს შორის სწავლა-განათლება და შინა ხელთსაქმობა-მეურნეობა: ჭრა-კერვა, ქსოვა, ფრინველის მოვლა-მოშენება და მეაბრეშუმეობა გაავრცელონ..." სამინისტროს ხაზით ქალთა სკოლის გახსნა დაბა წალენჯიხაში (1900 წ.) და ისიც ქართულ ენაზე, სკოლის გახსნის მესვეურთა უთუოდ დიდი წარმატებაა, როცა რუსიფიკატორული რეჟიმის პირობებში მხოლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ხაზით გახსნილ 200-მდე სკოლებში იყო ქართულად სწავლა (თავ-რე ი. ჭავჭავაძე). შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ საქმეს ბოროტნი და შურიანებიც აღმოუჩნდნენ, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ დ. წალენჯიხაში ქალთა სკოლის გახსნისა, მაგრამ ამაოდ. სკოლა მაინც გაიხსნა. სკოლის გახსნას მხარი დაუჭირა ბ-ნ თ. ჟორდანიამ (გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო სკოლების მეთვალყურე) და მღვ. ბობოხიძემ და 1900 წელს ქალბატონ ვარდოვნა დადიანის ინიციატივით გადაწყდა საქალებო სკოლის გახსნის საკითხი: იმ დროს სკოლისათვის არც შენობა არსებობდა და არც საჭირო ინვენტარი ჰქონდათ, მაგრამ ვარდოვნა დადიანმა სკოლას თავისი ოდა-სახლის ზალა დაუთმო სკოლისათვის შენობის აშენებამდე, რასაკვირველია, უფასოდ.

სკოლის სასარგებლოდ ფულადი შემოწირულობანი გაიღეს მაქსიმე თვალთვაძემ, ქალბატონმა ვარდოვნამ და მისმა მეუღლემ, აფაქიძემ (სახელი ვერ დავადგინეთ — ა. კ.), თ. ჟორდანიამ, იოანე კრონშტადელმა, ბოქაულმა, მოსამართლემ, გამომძიებელმა (მათი გვარები ვერ დავადგინეთ — ა. კ.) და სხვებმა, სულ 320 მანეთი.

1902 წელს აშენებულ იქნა ხუთთვალიანი შენობა, სადაც გოგონებმა გააგრძელეს სწავლა-განათლება...

დაბა წალენჯიხის ქალთა სკოლაში ჯერ სწავლობდა და მერე წლების მანძილზე მასწავლებლობდა, ამჟამად ქ. წალენჯიხაში მცხოვრები, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი — ლენინის ორდენოსანი — ფედოსი თვალთვაძე, მასთან ერთად მასწავლებლად მუშაობდნენ იმავე სკოლაში ვარდოვნა ლორთქიფანიძის ასული დადიანი, ნანა ნიჟარაძე (ქუთაისიდან), სოფიო ხაბურზანია (ზუგდიდიდან), ანეტა ხაბურზანია, ვანო (ივანე) ოსიძე და სხვ.

მკითხველებს ისიც მინდა მოვახსენო, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წალენჯიხის რაიონში არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ ოთხი სკოლა.

წალენჯიხის რაიონის ორ ქალაქს (წალენჯიხა, ჯვარი) და 36 სოფელში ამჟამად მოქმედებს 45 დაწყებითი, 8-წლიანი და საშუალო სკოლა, 2 სამუსიკო სასწავლებელი, აგრეთვე ბაგა-ბაღები, კულტურის სახლები, კლუბები, პიონერთა სახლი, ბიბლიოთეკები, ლ. ქიაჩელისა, ეგ. ფიფიას და ტ. გრანელის სახლ-მუზეუმები, რომლებიც წარმატებით ემსახურებიან ბავშვებისა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ და საპატიო საქმეს.

მინდა მადლობა მოვახსენო რაიონული გაზეთის— „კომუნიზმის დროშით" რედაქტორს — პატ. კოტე ჩიქობავას, ამ წერილისათვის ზოგიერთი ცნობის მოწოდებისათვის.

ალ. კოკაია
დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში წერილი მოვიდა

# რას დავემსგავსეთ?



ძვირფასო რედაქციავ! ხანამ კაცთა მოდგმა იარსებებს, პრობლემებს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე. მაგრამ, რახაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი, თურმე, იმდენს ვერაფერს დააკლებს. 48 წლის ქალი ვარ და ყოველთვის გამომითქვამს ჩემი გულისტკივილი საზოგადოების მიმართ, რომ არ უყვართ თავიანთი ქალაქი თუ სოფელი, რომ თავისი ხელით აჭუჭყიანებენ ქუჩებს, სადარბაზოებს, ეზოებს, სკვერებს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძალიან საწყენია, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც თითოეულ ჩვენგანს დაემართა ომის შემდგომ წლებში. ადამიანები დაობენ, წუწუნებენ, — მაღაზიაში არაფერი არ იშოვება, ყველაფერი ძვირია, მშივრები ხომ არ დავიხოცებითო!.. თავის თავზე კი არ იხედებიან, რომ თანდათან, დღესხვალიობით დაკარგეს ადამიანის სახე.

მამაკაცებს ნაპატივები, კარგად წამოზრდილი ლიპები წამოხწევიათ ქურთუკებში და დადიან ხვნეშით. ჯერ კიდევ, თუ არ ვცდები, ამ სამი თუ ოთხი წლის წინ, არ მახსოვს, რომელ გაზეთში გამოაქვეყნა ბატონმა კიტა ბუაჩიძემ ამ ხენის შესახებ შესანიშნავი წერილი, მაგრამ ამ გაბერილმა ვაჟბატონებმა და ქალბატონებმა კი არ შეისმინეს მოყვრის ლალადისი, მტრად ჩათვალეს კაცი — აბა, რა მაგის საქმეა, ჩვენ როგორი მუცლები გვექნებაო. დიდი ილიასი არ იყოს, კიტა ბუაჩიძემ ამ წერილით სარკე მოგიტანათ და ჩაგახედათ, და თუ თქვენ ამ სარკეშ რამე ნაკლი გიჩვენათ, უნდა მოგეცილებინათ. ხომ ასეა?

მივდივარ ქუჩაში და რა დიდია ჩემი გულისტკივილი: ახალგაზრდა ქალებს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, გადმოუფენიათ თავიანთი ქონები.

ახლა 18-19 წლის დასუქებული ქალ-ვაჟებიც მომრავლდნენ. ამათ შემყურეს აბა, როგორ არ მეტკინება გული, მე მინდა აშხვართული გოგო-ბიჭები ამშვენებდნენ ჩვენს ქუჩებს. მე მინდა შოლტივით მოქნილი ქალები ალამაზებდნენ ჩვენს ქალაქს. მე მინდა... რა მინდა? — ხომ ხვდებით... არ არის კარგი ზედმეტი სიმსუქნე. ქალებო, მიაქციეთ თქვენს თავს ყურადღება. მე მგონი ეს უფრო დიდი პრობლემაა დღესდღეობით. თუ თქვენ თავს აიყვანთ ხელში და მუცლის მონა არ გახდებით, თქვენს ქმრებსა და შვილებსაც მიაჩვევთ ზომიერ ჭამასა და სმას, ამაზე უკეთესი რა იქნება.

ზოგი თქვენგანი ამტკიცებს, ცოტას ვჭამთ და მაინც ვსუქდებითო. ეს ხომ მტკნარი სიცრუეა. როდესაც ბევრს ჭამთ, მგონი, ამით თქვენს ოჯახს მატერიალური ხარჯები ემატება. ეს ერთი, და მეორე — გიავადდებათ მთელი ორგანიზმი. დააკვირდით, როდესაც მაძღრისად ჭამთ, მერე ხომ მოგინდებათ წამოკოტრიალება, კარგი, ამის შემდეგ ისევ მოგშივდებათ, და ასე... თუ ცოტა ნაკლებს ჭამთ უფრო ენერგიულადაც ხართ და საქმესაც უამრავს აკეთებთ.

მე მგონი, ქმრებო, უნდა გრცხვენოდეთ თქვენი მსუქანი მეუღლეების გამო, მაგ თქვენი ქონების გამო, და ცოლებო, უნდა გრცხვენოდეთ თქვენი ქმრების დამახინჯებული ფორმების გამო. მაშინ ნულარ გაამტყუნებთ ერთმანეთს, თუ ერთ-ერთმა თქვენგანმა თვალი გააპარა ლამაზად ჩამოქნილი ქალისა ან მამაკაცისაკენ. ეს ხომ ძნელი არ არის, რომ როგორც იმ ქალს ან კაცს შეუნარჩუნებია ლამაზი აღნაგობა, თქვენც ასე ქნათ. თუ ერთ დღეს თავი ვერ შეიკავე და მაძღრისად ჭამე, განა მეორე დღეს ორგანიზმი არ უნდა განტვირთო? შენ კი რას უშვრები შენს გულს, ფილტვებს, ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს, თირკმლებს? აიძულებ, რომ ყოველდღე დატვირთვით იმუშაონ. სამწუხარო ის არის, ზოგი ვერცა გრძნობს, როგორ დამახინჯდა, ამოდენა მუცელი რომ ადევს.

ერთ-ერთი ჩემი ძალიან ახლობელი ფეხსაცმლის შესაკრავადაც ვერ იხრება, მის ხვნეშას და წვალებას რომ უყურებს 80 წლის მამა, ის მიდის დასახმარებლად. ეს 80 წლის კაცი, რომ მოკლა ა საათის შემდეგ საჭმელს არ შეჭამს და ყოველ დილით 6 საათზე იწყებს ვარჯიშს. სილამაზე მსხვერპლს მოითხოვსო, იქნებ მართლაც ასეა. იქნებ გინდა, ორი ვაშლი შეჭამო ერთ ჭამაზე, მაგრამ შეიკავე თავი, ერთი შეჭამე. სადილი მიირთვი? — ორი ნაჭერი პურის ნაცვლად ერთი მიატანე და ნახავ, იმ დღესვე რა მსუბუქად იგრძნობ თავს. რა ენერგიული და მოსიყვარულე გახდები. ზოგი ქალისაგან ბევრჯერ გამიგონია, უვახშმოდ რომ დავწვე, არ დამეძინება, ღამე ავდგები და მაშინ შევჭამო. სადაა ჩვენი ნებისყოფა? რით განვსხვავდებით ილიას ლუარსაბისა და დარეჯანისაგან? შეიძლება მართლაც იმ ღამეს არ დაგეძინოს, მაგრამ ნუ გეშინია, არ მოკვდები. მეორე ღამე უფრო იოლი იქნება. თორემ იმ ღამეს რომ კარგად გამოძღები, აბა დილით სარკეში ჩაიხედე, თვალების ირგვლივ რამოდენა შეშუპებული პარკები გაქვს გაჩენილი? ეს შენგან დაავადებული თირკმლების მუშაობის ბრალია.

იმ დღეს ფანჯრიდან ვიყურებოდი, რაღაც თხრილს ავსებდა ერთი მუშა, თავზე დადგომოდა ახალგაზრდა კაცი, ალბათ ინჟინერი იყო, ხელები ზურგზე შემოეწყო და წინ იმოდენა მუცელი გადმოეშვირა, რომ მე შემრცხვა მის მაგივრად. მერე რა, რომ ინჟინერია, მივეხმარებოდი მუშას იმ მიწის ჩაყრაში, საქმეც მალე დამთავრდებოდა და მუცელიც დაუპატარავდებოდა.

ქუჩაში ერთ წუთს გაჩერდით და დააკვირდით, რამდენი ლუარსაბი და დარეჯანი მოდის. ჯერ კიდევ როდის გამოუცხადეს ბრძოლა მათ. და ჩვენ რაღა დაგვემართა? სადა ვართ გამოსაჩენი? ეძებენ ჩვენი სტუმრები ლამაზ ქართველ ქალებს, მაგრამ სადღა არიან? არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტანი. იქნებ ამ წერილმა ბევრი თქვენგანი დააფიქროს და თავი დააღწიოს ამ ავადმყოფობას, მერედა, განა ასეთი ძნელია? მოაკელით თქვენს ულუფას ნახევარი და იმოძრავეთ უფრო მეტი. ჩაღი, ნუ დაგეზარება, ნარგავები მორწყე, მერხი შეაკეთე, ფეხით იარე, დილით აუცილებლად ივარჯიშე და, რაც მთავარია, ვახშმად ერთი ჭიქა მაწონი ან ერთი ვაშლი მიირთვი. ნახავ, რა მალე მიიღებ შედეგს. ნუ დაგეზარება ავადმყოფი მეზობლისთვის წყლის მიტანა. ესეც შენთვის არის უფრო კარგი. თორემ რაც დაგემართება, შენს თავს დააბრალე მარტო, და არა მარილებს, რომლებიც ასე მოაგროვე შენს სახსრებში. შენ ხომ ასე გინდოდა? და თუ არ გინდოდა, შეიგნე შეგონებანი.

ეს წერილი იმიტომ დავწერე, რომ მიყვარს ჩემი ქალაქი, ჩემი სოფელი, ჩემი მთები და ჩემი ველები, და ჩემი დიდი სურვილია ამ ლამაზ მხარეს ლამაზი ადამიანები ამშვენებდნენ.

შეიძლება ეს წერილი არც გახდეს საზოგადოების განსახჯელი, ანდა ვიღაცამ იფიქროს, მეტი საქმე არ ჰქონიაო. დაე, ასე იყოს, მაგრამ, თუ ვიღაცას მაინც დაეხმარება, ესეც კარგია.

მარშან ჩემი ორი ვაჟიშვილი ჯარში გავამგზავრე. გაცილებისას ვხედავდი ახალგაზრდა ვაჟებს, რომლებიც ისე იყვნენ დასუქებულნი, ბოდიში და, არც ერთ [illegible] ქალს არ ჩამოუვარდებოდნენ. იმის იმედი ლა მქონდა, ჯარი ერთ [illegible] სულ ჩამოაცლის-მეთქი.

ერთხელ დილით, ნავარჯიშევი სამსახურში მივდიოდი, ძლივს შევასწარი ტრამვაიში და თავისუფალ სკამზე დავჯექი. თავს დამადგა ჭალარათმიანი ქალი. მის გადმობრუნებულ მუცელს რომ შევხედე, შემეცოდა. გამახსენდა, ოდესღაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით, იგი ჩემი ტოლი იყო და ახაკით ჩემზე 80 წლით უფროსად გამოიყურებოდა. ადრე ნუ დავიბერებთ თავს, სიბერე ისედაც მოვა, გვინდა თუ არა. აბა, სცადე. ეთამაშე შენს შვილს, შენს რძალს. შენს მეზობელს ბადმინტონი თოკზე იხტუნე, და რა ლამაზად მოგეჩვენება ყველაფერი. საწუწუნოდ დრო აღარ დაგრჩება, აღარც საჭოროდ.

მე მინახავს თმაგაწეწილი, ფრჩხილებმოუვლელი ქალები ქუჩაში დგანან, ლაპარაკობენ ორი, სამი საათი. ამ ხნის განმავლობაში თმასაც შეიღებავდნენ, ფრჩხილებსაც და სახლსაც მოუვლიდნენ. თუ მოიწადინებ, ყველაფრის დრო გექნება, თუ მუცლის მოფერებას დაიწყებ, დაკარგულია ყველაფერი.

ერთ ჩემ მეგობარ ქალს, სხვათა შორის მხახიობია, კარგი ჩასუქებული ქმარ-შვილი ჰყავს. ქალი დარბის რეპეტიციებზე, ბავშვებთან სკოლაში, მაგრამ სამზარეულო მისი კულტია. აკეთებს რამდენიმე თავ კერძს. მე რომ ეს შევნიშნე ვუთხარ, — ჩემო კარგო, რაზე იკლავ თავს, ხომ ხედავ, როგორ მოსუქდი, რას დაემსგავსე, გააკეთე ერთი თავი საჭმელი, შენც კარგად იქნები და შენი ქმარ-შვილიც. ასეც მოიქცა, სულ მალე დაიკლო იმდენი, რომ მის ნახვას არაფერი ჯობდა. დამიჯერეთ, ზედმეტი სიმსუქნე სიმახინჯეა.

თქვენი კეთილისმსურველი.

## ჩვენი ჯანმრთელობა

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მრავალი სახელმწიფოს მაგალითზე იკვლევს ალკოჰოლით გამოწვეულ მატერიალურ ზარალსა და პიროვნების ფსიქიკურ დესტრუქციებს; ამ ორგანიზაციის ბიულეტენებში ვრცელი ადგილი ეთმობა (1950 წლიდან დაწყებული) მეცნიერული დაკვირვებების ანალიზებს, რომლებიც ტარდება კანადაში, ჰოლანდიაში, ფინეთში, პოლონეთში, ირლანდიაში, შვეიცარიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობდა (ზოგან დღესაც მოქმედებენ) კანონები, რომლებიც აწესრიგებენ ალკოჰოლური სასმელების მოხმარებას. ეს კანონები სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, დაწყებული უმკაცრესი „მშრალი კანონიდან" დამთავრებული მათი წარმოების ან ვაჭრობის ლიმიტირებით. და მაინც განვითარებული ქვეყნებისათვის ალკოჰოლიზმი დამოკლეს მახვილად ქცეულა. იზრდება არაფხიზელ მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი, განსაკუთრებით კი ავტოსაგზაო შემთხვევებში. ამერიკელ სტატისტიკოსთა გამოანგარიშებით, ომის შემდგომ, შეერთებულ შტატებში საავტომობილო ავარიების შედეგად დაიღუპა ბევრად მეტი, ვიდრე ამერიკელი ჯარისკაცები მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე.

დასავლეთ ევროპაში განვლილი ათწლეულის განმავლობაში (1970-1980 წ.წ.) ავტოკატასტროფების მსხვერპლი გახდა მილიონ სამასი ათასი ადამიანი, მათ შორის 250 ათასი ფეხით მოსიარულე. ავარიები უმეტეს წილად ალკოჰოლის მიზეზით იყო გამოწვეული.

დღეს მსოფლიოში ფართოდ არის გაშლილი მოძრაობა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის. სისტემატურად ქვეყნდება მრავალრიცხოვანი მეცნიერული კვლევის შედეგები, რომლებშიც ტკბილი და მლაშე საკვებისა და თამბაქოსაგან თავის შეკავებასთან ერთად უპირველესი ადგილი სწორედ ალკოჰოლის საწინააღმდეგო პროპაგანდას უკავია, რადგან მეცნიერულ დასაბუთებას, დიდი ეფექტური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია ადამიანზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ალკოჰოლის გამოყენების კლების ტენდენცია შეინიშნება ინტელიგენციის წარმომადგენლებში, რაც სწორედ ყოფითი კულტურის ამაღლებით აიხსნება.

## ჩვენს ხელთაა

საინტერესო გამოკვლევები აქვთ ამ მიმართულებით შვეიცარიელ მეცნიერებს. მათ ცდების საშუალებით გამოიკვლიეს, რომ ალკოჰოლი ქმნის სხეულის გათბობის ცრუ შთაბეჭდილებას. ალკოჰოლის მიღების შემდეგ ფართოვდება უშუალოდ კანქვეშ განლაგებული კაპილარები, სისხლი დიდი რაოდენობით გროვდება კანქვეშ, რაც იწვევს სითბოს შეგრძნებას, სინამდვილეში კი, ვერ დააზღვევს მას სითბოს დაკარგვისაგან.

ხშირად დიეტის დაცვის მიზნით (რაც გახდომის სურვილით არის ნაკარნახევი) თავს იკავებენ ხოლმე საჭმლის მიღებისაგან, დიდი რაოდენობით კი მიირთმევენ სასმელს. შვეიცარიელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ალკოჰოლიანი სასმელები საკმაო რაოდენობით შეიცავენ კალორიებს. ამასთანავე, ალკოჰოლის საშუალებით მიღებული ზედმეტი კალორიები ორგანიზმში არ გარდაიქმნება, ენერგიად არ იხარჯება, და ამრიგად ყოველი ლიტრი სასმელი ზრდის წონას. შეგახსენებთ სასმელთა კალორიების შემცველობას:

თეთრი ღვინო — 250 მლ. — 150-170 კალორიაა; შავი ღვინო — 250 მლ. — 170-180 კალორია; ლუდი — 500 მლ. — 220 კალორია; „ვისკი" — 40 მლ. — 115 კალორია; კონიაკი — 20 მლ. — 44 კალორია; შამპანური — 100 მლ. — 80 კალორია.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანისათვის დღე-ღამის განმავლობაში აუცილებელია მხოლოდ 1.000-1.200 კალორიის მიღება.

საკუთარი ჯანმრთელობის მოვლა, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, ადამიანის, მოქალაქის მაღალ თვითშეგნებაზე, მის შინაგან კულტურაზე, სწორ აღზრდაზე მეტყველებს. ყოველ ჟამს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა და მას გაფრთხილება სჭირდება.

ნუგზარ ბარდაველიძე,
ბიოლოგი, საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

# პროფესორ მ. ი. კოვალიოვის კულინარიული საუბრები

## გემრიელი წვნიანის საიდუმლო

წვნიანების უამრავი ნაირსახეობა არსებობს, მაგრამ ასევე — მათი მომზადების რამდენიმე საერთო წესიც, ანუ „საიდუმლო".

1. პირველი ის გახლავთ, რომ პროდუქტები მხოლოდ და მხოლოდ მდუღარე წყალში უნდა მოათავსოთ. არის ფერმენტები, რომლებიც ცივ წყალში „ც" ვიტამინისა და სხვა ნივთიერებების დაჟანგვას იწვევს. ასე რომ, ბოსტნეულის ცივ წყალში ჩაყრა და მოხარშვა მიზანშეწონილი არ არის.

2. მეორე საიდუმლო ასეთია — ყველა პროდუქტს ქვაბში ერთდროულად ნუ ჩაყრით, თორემ ზოგი ბოსტნეული გადაიხარშება, ზოგი კი უმი დარჩება. თანამიმდევრობა ასეთი უნდა იყოს: ჯერ კომბოსტო, 5—10 წუთის შემდეგ კარტოფილი, ხოლო ხარშვის დამთავრების წინ — ცხიმში მოშუშული ბოსტნეული.

3. მესამე:—ბოსტნეულისა და პამიდვრის მოსაშუშად სქელძირიანი (მაგალითად, თუჯის) ქვაბი იხმარეთ და დროდადრო ხის კოვზით მოურიეთ, რომ ბოსტნეული ზედმეტად არ მოიხრაკოს.

სტაფილო და პამიდორი კაროტინს შეიცავენ, რომლისგანაც ორგანიზმში „ა" ვიტამინი წარმოიქმნება. ეს მოწითალო-მონარინჯისფრო ნივთიერებები მოშუშვისას ცხიმში იხსნება და წვნიანს შეფერილობას ანიჭებს, გარდა ამისა, ორგანიზმი მათ ასე გაცილებით უკეთ ითვისებს.

ცხიმში კარგად გახსნილი არომატული ნივთიერებებიც გაცილებით უკეთ ინარჩუნებს თავის თვისებებს, ხახვი კი სიმწარეს და მძაფრ სუნს კარგავს.

4. მეოთხე საიდუმლო კომბოსტოს ეხება: ვიდრე შჩის მჟავე კომბოსტოს დაუმატებთ, ის ჯერ ცალკე მოშუშეთ ცხიმში და სულ ცოტა ბულიონში ან წყალში. კარგა ხნის მოშუშვის შემდეგ კომბოსტო ჭარბ სიმჟავეს კარგავს და სასიამოვნო სურნელს ღებულობს. მოშუშვის მთავარი სიკეთე კი ის გახლავთ, რომ ამ დროს იშლება რძისმჟავა, რომელიც წვნიანში კომბოსტოსა და სხვა ბოსტნეულის დარბილებას აფერხებს.

5. მეხუთე ჭარხლის საიდუმლოა. მასაც ცალკე მოშუშვა სჭირდება ცხიმის, ძმრისა და ცოტაოდენი სითხის დამატებით. ძმარი რომ პირდაპირ ბორშჩში ჩაასხათ, შეიძლება წვნიანი ზედმეტად მჟავე გამოგივიდეთ. მაგრამ როცა მას მოშუშულ ჭარხალს თანდათან ჩაუმატებთ, სასიამოვნო გემოს მიიღებთ. ამ წესს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს: ჭარხალი ფერს ასე უკეთესად ინარჩუნებს და ბორშჩიც ხასხასა წითელი გამოდის.

6. მეექვსე წესის წყალობით ყოველგვარი ბოსტნეული წვნიანში თავის საუკეთესო თვისებებს გამოავლენს. კარტოფილი ნახევრად რომ მოიხარშება, მხოლოდ მაშინ უნდა ჩაუმატოთ კერძში მჟავე პროდუქტები — კომბოსტოს მწნილი, ძმართან ერთად მოშუშული ჭარხალი, მჟავე კიტრი და სხვა.

ეს იმიტომ, რომ პროდუქტებში შემავალმა სიმჟავემ ხელი არ შეუშალოს კარტოფილის დარბილებას (მოხარშვას).

მჟავე კიტრი რომ წვნიანში დარბილდეს, წინასწარ გათალეთ, სიგრძეზე ოთხად გაჭერით, უხეში თესლი მოაცალეთ; მერე დაკეპეთ, ცალკე მოშუშეთ დარბილებამდე და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუმატეთ წვნიანს.

7. მოშუშული ბოსტნეული, დაფნის ფოთოლი, ბაჰარი და მარცვლიანი შავი პილპილი აუცილებლად ხარშვის ბოლოს ჩაუმატეთ წვნიანს, თორემ ხანგრძლივი დუღილისას თავის არომატს დაკარგავს.

8. მერვე საიდუმლო წვნიანი კერძის სილამაზეს ეხება. როგორ მივაღწიოთ წვნიანის „ჰარმონიას"? — ბოსტნეული ისე უნდა დაიჭრას, რომ ზომითა და მოყვანილობით სხვა პროდუქტებს ეხამებოდეს. მაგალითად, თუ სუფი ვერმიშელისაა — მოგრძოდ და წვრილად („ასანთისებურად"), თუ მაკარონისა — ამავე ფორმით, მაგრამ უფრო მსხვილად, ხოლო თუ ფიგურული მაკარონის — მაშინ მრგვლად, ვარსკვლავისებურად, ცერცვის ან ლობიოს წვნიანში — კუბიკურად, ბურღულის წვნიანში — ძალიან წვრილად დაკეპილი. ხარშვისას ბოსტნეული ფორმასაც უკეთესად ინარჩუნებს და წვნიანიც ლამაზი გამოდის.

9. აქ ფქვილის საიდუმლოებას გაგაცნობთ. ვიდრე წვნიანს შესასქელებლად საფანელს ამოუკიდებთ, წინასწარ აუცილებლად ცხიმში უნდა მოშუშოთ იქამდე, ვიდრე ფქვილი ღია კრემისფერი არ გახდება. შუშვის დროს ფქვილი სინოტივის სუნს კარგავს, სასიამოვნო, თითქოს ნიგვზის გემოს იძენს და წვნიანსაც წებოვანს არ გახდის. მოშუშული ფქვილი ჯერ უნდა გაგრილდეს, მერე ცოტაოდენი ბულიონით გაზავდეს, კარგად გაიქნას და შემდეგ დაემატოს წვნიანს. წვნიანის შესასქელებლად შეიძლება მოხარშული კარტოფილი ამოვიღოთ, დავჩრისოთ და ისე ჩავუმატოთ.

რუსულ სამზარეულოში წვნიანის უამრავი ნაირსახეობა არსებობს, მაგრამ ამჯერად სამს გაგაცნობთ, რომელთა დამზადებისას უთუოდ გამოგადგებათ ის ცხრა „საიდუმლო", რომელიც გაგაცანით.

### რასოლნიკი ლენინგრადულად

ეს კერძი უმჯობესია ხორცის ან ქათმის ბულიონისგან დაამზადოთ, თუმცა, შეიძლება ვეგეტერიანულიც იყოს. ვიდრე ბულიონი მოიხარშებოდეს, მანამდე პროდუქტები გაამზადეთ. წვრილად, მოგრძოდ დაჭერით სტაფილო, ხახვი და ოხრახუშის ძირები. ცხიმში ჯერ ხახვი მოშუშეთ, მერე კი სტაფილო და ოხრახუშის ძირები დაუმატეთ. გათლილი, თესლგამოცლილი მჟავე კიტრი რომბებად დაჭერით, ცოტა ბულიონი დაასხით და დაბალ ცეცხლზე შედგით. ქერის ბურღული (პერლოვკა) გარეცხეთ, დაუმატეთ იმდენი წყალი რომ ბურღული 2-3 თითით დაფაროს და მოთუთქეთ; თუ ბურღულს პირდაპირ ბულიონში მოხარშავთ, კერძი მუქი ფერისა და ლორწოვანი გამოვა. გათლილი კარტოფილი მოგრძოდ დაჭერით, მერე ქვაბში ჩაასხით გაწურული ბულიონი, მოთუთქული ბურღული და 15-20 წუთი ხარშეთ, შემდეგ დაუმატეთ კარტოფილი და ხარშეთ, ვიდრე დარბილდება, ბოლოს ჩაყარეთ მოშუშული ბოსტნეული და კიტრი, ხოლო ხარშვის დამთავრების წინ — დაფნის ფოთოლი, შავი პილპილი და მარილი.

მ ა ს ა ლ ა: 800 გრ (8-10 ც) კარტოფილი, 60 გრ (2-3 სუფრის კოვზი) ბურღული, 100 გრ (1-2 ც) სტაფილო, 50 გრ (1 ც) ოხრახუშის თეთრი ძირი, 120 გრ (1-2 ც) ხახვი, 150 გრ (2-3 ც). მჟავე კიტრი, 40 გრ (2 სუფრის კოვზი) კარაქი, 1400 გრ ბულიონი ან წყალი.

### ხორცის კალია (სალიანკა)

რაც უფრო მაგარია ბულიონი, მით უფრო გემრიელი გამოდის კალია; საქონლის ძვლებს დაასხით ცივი წყალი, თუ გაქვთ, ჩაუმატეთ შაშხის ძვლები და 1-2 საათი ხარშეთ. ამის შემდეგ ჩაუმატეთ ხორცი (მთლიანი ნაჭერი) და 1-1,5 საათი კვლავ ხარშეთ ნელ ცეცხლზე. წვრილად დაჭრილი ხახვი ცხიმში მოშუშეთ, მიუმატეთ პამიდვრის პიურე და განაგრძეთ შუშვა. მჟავე კიტრს მოაცილეთ კანი, თესლები,



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკეპეთ და ცოტაოდენ ბულიონში ჩათუთქეთ.

მოშუშულ ხახვს, ჩათუთქულ მჟავე კიტრს დაასხით ბულიონი, უყავით ხორცეული, საკმაზი და მიიყვანეთ ადუღებამდე. ხორცეულიდან შეიძლება იხმაროთ მოხარშული და შემდეგ დაჭრილი ხორცი, ძეხვი, სოსისი ეს ყველაფერი წვრილად უნდა დაიჭრას. ვიდრე მიირთმევთ კალიაში ჩაუმატეთ არაჟანი, კანგაცლილი და კურკაგამოცლილი ლიმონის ნაჭერი, მოაყარეთ დაკეპილი მწვანილი, ცოტაოდენი ჯონჯოლი და ზეთისხილი.

მ ა ს ა ლ ა: 600 გრ ხორცეული, 200 გრ (2-3 ც) ხახვი, 200 გრ (3-4 ც) მჟავე კიტრი, 50-100 გრ (0,5 ჭიქა) პამიდვრის პიურე, 50 გრ (2 სუფრის კოვზი) კარაქი, 1500 გრ ბულიონი.

## ბორშჩი

გათლილი ჭარხალი გრძლად, წვრილად დაჭერით, მიუმატეთ ცოტა ძმარი, ბულიონი, ცხიმი და მოშუშეთ, ვიდრე დარბილდება. ამავე დროს მოამზადეთ ბულიონი და ცხიმში მოშუშეთ ხახვი და სტაფილო, რომლებსაც ბოლოს პამიდვრის პიურესაც მიუმატებთ. მდუღარე ბულიონში ჩაყარეთ დაკეპილი კომბოსტო, 5-10 წუთის შემდეგ მიუმატეთ მოგრძოდ დაჭრილი კარტოფილი და კიდევ 10-15 წუთი ხარშეთ, ამის შემდეგ უყავით მოშუშული ჭარხალი, ხახვი, სტაფილო, საკმაზი და მალე გადმოდგით ცეცხლიდან. ბორშჩი გემოვნებით შეაზავეთ მარილით, ძმრითა და შაქრით. თუ გსურთ, რომ წვენი ცოტა მოსქო იყოს, ხახვის და სტაფილოს მოხრაკვის ბოლოს ცოტა ფქვილი ჩაუმატეთ.

მ ა ს ა ლ ა: საშუალო ზომის კომბოსტო, 400 გრ (2-3 ც) ჭარხალი 500 გრ (4-5 ც) კარტოფილი 100 გრ (1-2 ც), სტაფილო, 50 გრ (1 ც) ოხრახუში.

„რაბოტნიცა“ № 4 1988 წ.

---

## ხორცის სალათი ბოლოკით

500 გრ საქონლის ხორცი (რბილი ნაწილი) კარგად მოხარშეთ, ისე, რომ ადვილად დაიჭრას წვრილად და გრძლად (დაახლოებით 4-5 სმ სიგრძის და ნახევარი სმ სიგანის). შეურიეთ 200-250 გრ ასანთის ღეროებივით ზომაზე დაჭრილი ბოლოკი, 500 გრ ალყა-ალყად დაჭრილი და ზეთში კარგად მოშუშული ხახვი, ერთი ჭიქა მაიონეზი, გემოვნებით შეაზავეთ მარილით, შავი პილპილით და სუფრაზე მიტანის წინ თავზე მოაყარეთ მცირეოდენი წვრილად დაჭრილი ოხრახუში.

## „ჩაკ-ჩუკ“

5 ცალი კვერცხი, 5-6 სუფრის კოვზი რძე და მცირეოდენი მარილი (დანის წვერით აღებული) შეურიეთ ერთმანეთში, კარგად ათქვიფეთ და შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ მაგარი ცომი, რომელსაც მაშინვე გააბრტყელებთ და დაჭრით (5 სმ სიგრძისა და 1 სმ სიგანის ზომაზე). ბრტყელ განიერძირიან ქვაბში ჩაასხით 1 ლიტრა ზეთი, შედგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე და შიგ ჩაყარეთ დაჭრილი ცომი. დაიბრაწება თუ არა, მაშინვე ამოიღეთ ქაფქირით და მოათავსეთ ყალიბში (ბრტყელ ტაფაზე ან დაბალ, განიერძირიან ქვაბში). შემდეგ 1 ჩაის ჭიქა თაფლი და 2 ჩაის ჭიქა შაქარი შედგით ნაზ ცეცხლზე და ურიეთ ხის კოვზით, ვიდრე შაქარი არ დადნება, ცხელი თაფლი მოასხით ყალიბში მოთავსებულ მასას და დატოვეთ ასე. ორი საათის შემდეგ დაჭერით ცივ წყალში დასველებული დანით ნებისმიერ ფორმაზე, მზა „ჩაკ-ჩუკი“ უნდა იყოს 5 სმ სისქისა.

მარინე მახარაძე

---

## ნამცხვარი „ლოტოსი“

### ცომის მომზადება:

8 კვერცხის ცილა კარგად ათქვიფეთ მიქსერით, თანდათანობით დააყარეთ 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, შემდეგ სათითაოდ შეურიეთ 8 კვერცხის გული და ბოლოს 3 ჩაის ჭიქა უმაღლესი ხარისხის (გაცრილი) ფქვილი. მიღებული ცომი სუფრის კოვზით ამოიღეთ და ისე განალაგეთ გაზქურის (ცხიმწასმულ) ტაფაზე, რომ ცხობისას ერთმანეთს არ შეუერთდეს და შედგით ღუმელში ნაზ ცეცხლზე. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ოდნავ შეწითლდება, გამოიღეთ და ვიდრე ცხელია, თითოეული ნამცხვრის ორი კუთხე სწრაფად შეუერთეთ ერთმანეთს, ისე, რომ ნამცხვარი ლოტოსის ყვავილს დაემსგავსოს და შიგ კრემის ჩადება შესაძლებელი იყოს.

### კრემის მომზადება:

4 კვერცხის გულისა და 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილისაგან მოამზადეთ გოგლიმოგლი, შეურიეთ 7 სუფრის კოვზი გაცრილი პურის ფქვილი, დაასხით ნელ-ნელა 1 ლიტრი ანადუღარი ცივი რძე, კარგად ათქვიფეთ, შედგით ნაზ ცეცხლზე და განუწყვეტლივ ურიეთ ხის კოვზით 7-10 წუთის განმავლობაში. მომზადებული კრემი გააცივეთ, შეურიეთ ნელნელა 200 გრამი შერბილებული კარაქი და ათქვიფეთ მიქსერით. სურნელებისათვის უყავით მცირეოდენი ვანილი ან ლიმონის ცედრა. „ლოტოსის“ მრავალფეროვნებისათვის კრემი გაყავით სამ ნაწილად და შეაფერადეთ სხვადასხვა კულინარული საღებავით.

ნინო არჩვაძე

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული კუთხე

# გვეკითხებიან-ვუპასუხებთ

კითხვა: მყავს სამი მცირეწლოვანი შვილი. პატარა ექვსი თვისაა. შემიძლია თუ არა სამუშაოზე ერთი საათის დაგვიანებით გამოვცხადდე და როგორ ამინაზღაურდება ხელფასი? ეს შეღავათი ხომ არ მოახდენს გავლენას შვებულებაზე ან სტაჟზე?

პასუხი: — მომუშავე ქალებისათვის, რომლებსაც ჩვილი ბავშვები ჰყავთ, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და ადრე წასვლისას ხელფასის დაკავება კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 163-მუხლის თანახმად, მეძუძურ დედებს, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ, გარდა საერთო შესვენებისა, ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისათვის, ყოველ სამ საათში 30 წუთის ხანგრძლივობით. ხოლო თუ ქალს ერთ წლამდე ასაკის ორი ან მეტი ბავშვი ჰყავს, შესვენება ეძლევა ერთი საათით. ეს ჩაითვლება სამუშაო დროდ და ანაზღაურდება საშუალო ხელფასის მიხედვით.

შესვენების დროს, დედის სურვილის გათვალისწინებით, ადგენს ადმინისტრაცია პროფკომიტეტთან ერთად.

შრომის კანონთა კოდექსის 49-მუხლით, მომუშავე დედას ადმინისტრაციასთან შეთანხმებით შესაძლებელია დაუწესდეს არასრული სამუშაო დღე ან კვირა. შრომის ანაზღაურება მოხდება ნამუშევარი დროის პროპორციულად ან გამომუშავების მიხედვით. ხსენებული შეთანხმება არ ზღუდავს მუშაკის შრომითს უფლებებს.

კითხვა: — მომუშავე ქალმა ისარგებლა ჯერ კუთვნილი შვებულებით, შემდეგ დეკრეტულით, მშობიარობის შემდგომი პერიოდის ნაწილობრივ ანაზღაურებით და ექვსი თვის უხელფასო შვებულებით. სამსახურში დაბრუნებიდან რამდენ ხანში მიეცემა კუთვნილი შვებულება?

პასუხი: — შრომის კანონთა კოდექსის 160-მუხლით, ქალს მისი განცხადების თანახმად ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების წინ ან შემდეგ ეძლევა ყოველწლიური შვებულება იმ ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

შრომის კანონთა კოდექსის 161-მუხლის IV ნაწილით, მუშაობის იმ სტაჟში, რომელიც იძლევა მუშაკისათვის ყოველწლიური შვებულების უფლებას, დამატებითი უხელფასო შვებულების დრო არ ჩაითვლება.

თამარ ფალავა
იურისტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა






ყოველ მამაკაცს თვეში ერთხელ აქვს კრიზისი, რომელიც ჩვეულებრივ სამ დღეს გრძელდება.

მაინც, რა ემართება? დადის მოწყენილი, ნერვებაშლილი, პირქუში... ერთი სიტყვით, ჯვარი აქვს დასმული. ძველებურად, ხალისით აღარ ლაპარაკობს. ზოგჯერ თავისთვის ბურდღუნებს, მომბეზრდა სიცოცხლეო, ანდა გამქირდავი ღიმილით დასძენს, წუთისოფელი სულაც არ არის სალხინებელიო...

ერთი სიტყვით, სრული მოდუნება და მოშლილობა ემართება.

ასეთ დროს ცოლმა არ უნდა გააღიზიანოს.

ეს ხომ ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური მოვლენაა, ამიტომ ისე უნდა მოექცეს, როგორც ავადმყოფს, ბევრი არ ელაპარაკოს, არ დაქანცოს... ჯობს შეკითხვები მისცეს კულინარიის სფეროდან:

— არაყს ინებებ?
— ბუტერბროტს?
— ბულიონს?

— იქნებ ძეხვი შეგიწვა?
ქმარი უთუოდ ჩაიბურტყუნებს.
— მომეშვი, არაფერი არ მინდა... მხოლოდ სიწყნარე... სიწყნარე!

ჭკვიანი ცოლი ამ დროს ასე მოიქცევა: პურ-მარილით გაწყობილი სუფრა ქმარს უნდა მიუჩოჩოს ტახტთან, რომელზედაც ეს ტანჯული წევს და უმალვე გაშორდეს. ქმარი უთუოდ გადმოსწვდება მაგიდას და რაღაცას გაკბეჩს.

მგრძნობიარე მამაკაცების ასეთი სამდღიანი კრიზისი უფრო საშიშ სახეს იღებს, თუ შინიდან გაქცევას დააპირებს, აცახცახებული ცოლი თვალს შეასწრებს, როგორ ალაგებს თავის ნივთებს ჩემოდანში.

— რას შვრები?

— უნდა წავიდე...

— სად?

— ჯანდაბაში, არ ვიცი, ოღონდ, რაც შეიძლება შორს აქედან, შორს, შორს!..

ქალის გული როგორ გაუძლებს ამას?! უმეტესობას ტირილი აუტყდება, ნერვები აუცახცახდება... აბა სხვანაირად როგორ იქნება, როცა მის თვალწინ ჩემოდანში იკეცება საცვლები, პერანგები, წინდები და, ბოლოს, კოსტუმი...

— ჩემს ფოტოსურათს დაგიტოვებ, — მოწყალებასავით უბარებს ქმარი.

— პირსახოცი მხოლოდ სამი მიმაქვს, პიჟამოს ნარჩენებიდან შეგიძლია შენთვის საზაფხულო კაბა შეიკერო. საპონს გიტოვებ, მე სხვას ვიყიდი.

რაც უფრო კეთილი და უანგარო ქმარი, მით უფრო მეტ ცრემლსა ღვრის ქალი.

ასე შეუბრალებლად მაინც არ უნდა მოიქცეს კაცი. წასვლის წინ მადიანად ისადილებს, კიდევ ჩაიბურტყუნებს, უმადოდა ვარო...

მერე ცოტას წაუძინებს, გამოღვიძებულ-დანაყრებული გადაწყვეტს, რომ წასვლა მეორე დღისთვის გადადოს. მეორე დღე კი, სამდღიანი კრიზისის უკანასკნელი დღეა, ესე იგი, კრიზისი მთავრდება და იმედი ჩნდება, რომ იგი ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდება.

მამაკაცისათვის, იმ ფატალური დღეების გადასატანად, უებარი წამალია წიგნის კითხვა, ან ბრიჯის თამაში. მაგრამ მგრძნობიარე, აგრესიულ მამაკაცებზე ესეც არა ჭრის — ცოლს რომ ბანქოში ფულს მოუგებს, სულ პირწმინდად ართმევს; მაშ, რა ქნას, მოგებული ხომ უნდა ჩაიჯიბოს!

საცოდავი ქალი, რას არ ითმენს თავისი ქმრის ცუდი დღეების გამო!

პოლონურიდან თარგმნა
**ინგა კაკაბაძემ**

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 4. 08. 88. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.09.88. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 170.000. შეკვ. 1992. უე 04798.



თბილისის ბოტანიკური ბაღი ზურაბ დათუაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178